# ლელო

№48
(10959)

დეკემბერი. 1995 წ.
დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია ●ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ერთიანი ბიბლიოთეკა




ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემის პრეზენტაცია, მარცხნივ — საორგანიზაციო კომიტეტის თანაპრეზიდენტები მიშელ პლატინი და ფერნანდ სასტრი.

იხ. მე-5 გვ.

## რუსუდან გოლეთიანი — მსოფლიო ჩემპიონი!

ჩვენმა მოჭადრაკეებმა კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმატებით გაახარეს თაყვანისმცემლები. ბრაზილიაში გამართულ 16-18 წლის გოგონებისა და ვაჟების ჩემპიონატში ჩინებულად იასპარეზა სოხუმიდან დევნილმა 16 წლის რუსუდან გოლეთიანმა, რომელმაც 9 ქულით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მეორე ადგილზეც 8 ქულით ქართველი გოგონა გავიდა — ქუთაისელი სოფიკო ტყეშელაშვილი. 18 წლიანთა შეჯიბრებაში II-V ადგილები თანაბრად განაწილდა. კოეფიციენტით III ადგილზე აღმოჩნდა ქუთაისელი ნათია აფხაიძე, მეხუთე ადგილი კი თბილისელ ლომინეიშვილს ხვდა. 18 წლის ბიჭებში ჩვენი გუნდიდან საუკეთესო იყო გიგა ყაჭეიშვილი, რომელმაც 6,5 ქულით XII ადგილი დიკავა.

ამრიგად, ქართველმა მოჭადრაკეებმა წლეულს სხვადასხვა ასპარეზობებში მოპოვებული მედლების რიცხვი 21-მდე გაზარდეს, რაც 5 მედლით სჭარბობს შარშანდელს.

### მაიკ ტაისონი — ორიდან ორი

ციხიდან გამოსვლის შემდეგ მსოფლიოს ექსჩემპიონმა კრივში მაიკ ტაისონმა მეორე შეხვედრაც მოიგო. ამჯერად მან დაამარცხა ბასტერ მათისი უმცროსი. მესამე რაუნდში მარჯვენა გვერდითი დარტყმით ტაისონმა მეტოქე ნოკაუტში გაგზავნა.

### მილოცვა

ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელთა გუნდის ყოფილ მთავარ მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს შალვა კაკაბაძეს, რომლის ხელმძღვანელობით ლანჩხუთელები გამოდიოდნენ 60-70-იანი წლების საბჭოთა კავშირის პირველობის უმაღლეს ლიგაში, ვულოცავთ დაბადების დღეს.

**60-70-იანი წლების ლანჩხუთის „გურიის" გულშემატკივრები: ანზორ ნოდია, ამირან შუბლაძე, გივი ელოშვილი, ლევან ჟორდანია, ომარ სოლომნიშვილი, დავით ჩხენკელი, ჯემალ არჩუაძე, რობერტ ჩიჩუა, ილია დათუნაშვილი, რამაზ გოგოტიშვილი, დოდიკ ხუნდაძე, ზურაბ ამბროლაძე.**

## ლიცენზიებს მარტში გასცემენ

ჰელსინკში (ფინეთი) გამართულ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიაც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობის თორმეტი ქვეყნის გამოჩენილი ოსტატები მონაწილეობდნენ, საქართველოს ხუთი წარგზავნილიდან შინ სამი მედლით დაბრუნდა.

90 კგ-ში უძლიერესი იყო გამოცდილი ბათუმელი ოსტატი თენგიზ თედორაძე, რომელმაც ყველა ორთაბრძოლა მოიგო და პირველი ადგილი დაისაკუთრა. ცუდად არც მეორე ბათუმელი, მუხრან ვახტანგაძე (82 კგ) გამოსულა. მას საბოლოო გამარჯვებამდე მხოლოდ ერთი საფეხური დააკლდა, მაგრამ მეორე ადგილიც საკმაოდ ფასეული წარმატებაა. 68 კგ-ში ბრინჯაოს მედალი ტარიელ მელელაშვილს (გარდაბანი, მარტყოფი) ხვდა.

პრიზიორთა სამეულში ვერ მოხვდნენ ხვიჩა ბიჩინაშვილი (74 კგ, გარდაბანი, სართიჭალა) და ალექსანდრე ბოლქვაძე (52 კგ ოზურგეთი). ბიჩინაშვილი მეხუთე იყო, ბოლქვაძე — მეექვსე.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ისევე როგორც თავისუფალში, ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები ჯერ არ გაცემულა. გაისად, მარტში, უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს ჭიდაობის ორთავე სახეობაში. ატლანტის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მისაღებად ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა ყოველ წონაში პირველი-მეათე ადგილები უნდა დაიკავონ, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა კი პირველი — რვა.

## პრეზიდენტები სპორტში



## ნოდარ დიასამიძე: ჩვენ ქართული ფეხბურთის აღმავლობის ეროვნულ საქმეს ვემსახურებით...

ნოდარ დიასამიძე — აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. დაიბადა ქ. ბათუმში 1942 წელს, სპეციალობით იურისტია, სხვადასხვა დროს მუშაობდა აჭარის პროფსაბჭოში, ბათუმის სახალხო მოსამართლედ, ადვოკატთა კოლეგიაში, ბათუმის საბაჟოს უფროსად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ამჟამად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა.

1957-1959 წლებში სწავლობდა თბილისის №2 სპორტულ სკოლა-ინტერნატში ფეხბურთის სპეციალობით. მონაწილეობდა ჭაბუკთა საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატში. სამხედრო სამსახურის დროს იყო ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის ჩემპიონი, 1993 წელს აირჩიეს აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად, 1994 წლიდან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აჭარის ორგანიზაციის პრეზიდენტია.

● **ბატონო ნოდარ, თუ შეიძლება მოკლედ გვიამბეთ ფეხბურთის ტრადიციებისა და განვითარების შესახებ აჭარაში — საქართველოს ამ ძირძველ ქართულ კუთხეში.**

— არ შეიძლება სიამაყის გრძნობით არ განიმსჭვალო, როცა თვალს გადაავლებ ქართული ფეხბურთის განვითარების ისტორიას, იმ უმშვენიერესსა და მრავალი ჩვენთაგანისათვის, ალბათ, უბედნიერეს წლებს, როცა ქართველი ფეხბურთელების ტემპერამენტით, ინდივიდუალიზმით, იმპროვიზაციითა და არტისტულობით არაერთხელ მოხიბლულა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

მნიშვნელოვანია ბათუმელთა წვლილი ქართული ფეხბურთის განვითარებაში. გავიხსენოთ ალექსანდრე ელიავა, იბრაჰიმ სარჯველაძე, ბორის ფროლოვი, ანზორ კავაზაშვილი, ანზორ კვაჭაძე, ვალერიან ჩხარტიშვილი, ბონდო გიორგაძე, გარი ქიქავა, ვახტანგ ქორიძე, რევაზ ჩელებაძე, ნოდარ ხიზანიშვილი და სხვები. გვეამაყება ისიც, რომ სა-

იხ. მე-3 გვ.

სურათზე (მარჯვნიდან): ასლან აბაშიძე, ნოდარ დიასამიძე, ვლადიმერ ბარქაია.

## ბევრი რამ გვაქვს მოსაგვარებელი

### თავიანთ პრობლემებს მსაჯები უკეთ ხედავენ...

„უახლოეს მომავალში კალათბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატში მსაჯი სანთლით დასაძებნი გაგვიხდება" — ამბობს ცნობილი არბიტრი მურმან ქურიძე.



**მურმან ქურიძე: დაიბადა 1945 წელს, საშუალო სკოლის შემდეგ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი. კალათბურთს ეუფლებოდა „ნორჩ დინამოელში" გიორგი ავალიშვილის ხელმძღვანელობით, გამოდიოდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდში. 1961 წლიდან მსაჯობს სხვადასხვა შეჯიბრებას, 1964 წლიდან საკავშირო ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის მსაჯია, 1968 წელს მიენიჭა საკავშირო კატეგორია, 1977 წლიდან საერთაშორისო არბიტრია. 11-ჯერ იყო დასახელებული ყოფილი სსრ კავშირის 10**

იხ. მე-2 გვ.

სურათზე: მურმან ქურიძე

## იუნესკოს გვეწვია

„ახალგაზრდობის, სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების სოციალური დაცვა საქართველოში" — ასეთია სემინარის თემა, რომელიც თბილისში მიმდინარეობს.

ასეთი მაღალი ყურადღება იუნესკოს სპორტისა და ახალგაზრდობის დივიზიონმა საქართველოს მიმართ პირველად გამოიჩინა. სემინარს დივიზიონთან ერთობლივად ატარებს საქართველოს იუნესკოს საქმეთა კომისია, საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და საქართველოს ახალგაზრდობის დეპარტამენტი.

პარიზიდან ჩამოსვლისთანავე იუნესკოს წარმომადგენლები მიიღო საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ბერნარ ფასიემ. სტუმრები ეწვივნენ კახეთის, იმერეთის, აჭარის, თბილისის და ქუთაისის სპორტულ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს.

ერთკვირიანი მუშაობის შემდეგ მიიღებენ საბოლოო დოკუმენტს, რომლის ხელმოწერა გაიმართება სპორტის დეპარტამენტში შეხვედრის შემდეგ.

## ვიგონებ იმას, რაც მახსოვს...

### სად არის დოროხოვი?! — იკითხა ლავრენტი ბერიამ

ღვაწლმოსილი ინჟინერი-მეტყევე ნიკოლოზ თევზაია ახალგაზრდობაში კარგი ფრენბურთელი იყო. იგი თბილისის „უროჟაისა" (ამ სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს ოროზის ჩემპიონი) და „ნაუკაში" (თბილისის სამგზის ჩემპიონი) თამაშობდა. ნ. თევზაია „ლელოს" რედაქციის ძველი მეგობარია, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩვენი გაზეთის ჯერ კიდევ პირველი თაობის წარმომადგენლებთან.



ნიკოლოზ თევზაია

ამას წინათ, ბატონი ნიკუშა კვლავ ეწვია „ლელოს" რედაქციას. ბევრი რამ საგულისხმო გაიხსენა, გაცნობია ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილებს ლ. ბერიას შესახებ და რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი თავადაც გაიხსენა.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს 1937 წელს ჩემპიონატის მორიგი მატჩი ჰქონდათ საკუთარ სტადიონზე ლენინგრადის „დინამოსთან". თამაშზე, ცხადია, ლავრენტი ბერიაც მოვიდა. მოთელვაზე გამოსულ დინამოელებს შორის „პავლოვიჩმა" ვერ იხილა სახელგანთქმული მეკარე ალექსანდრე დოროხოვი, მის ნაცვლად მოედანზე იყო ახალგაზრდა გოლკიპერი ამირან ტყებუჩავა.

— სად არის დოროხოვი? — იკითხა მთავრობის ლოჟაში მჯდარმა „ხაზეინმა" (იგი იმხანად საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი იყო).

— ონ ნაკაზან, ლავრენტი პავლოვიჩ! — უპასუხა სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ერთ-

იხ. მე-3 გვ.

## მეთექვსმეტე ფინალისტი — ჰოლანდია

გამოირკვა მეთექვსმეტე ფინალისტიც, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის 1996 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში. ამ საგზურისთვის ლივერპულში ერთმანეთს შეხვდნენ ჰოლანდიისა და ირლანდიის გუნდები. გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა — 2-0 და მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება.

### 8 ივნისს უემბლიზე

ბირმინგემში გაიმართა ევროპის ფეხბურთელთა 1996 წლის ფინალური ტურნირის წილისყრა.

A ჯგუფი: დანია, პორტუგალია, თურქეთი, ხორვატია;

B ჯგუფი: ესპანეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საფრანგეთი;

C ჯგუფი: გერმანია, იტალია, რუსეთი, ჩეხეთი;

D ჯგუფი: ინგლისი, შვეიცარია, პოლანდია, შოტლანდია.

ევროპის ჩემპიონატის ფინალის ვადებია 8-31 ივნისი.

ტურნირი საზეიმოდ გაიხსნება 8 ივნისს, უემბლიზე, ინგლის-შოტლანდიის შეხვედრით.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი, ჭიდაობის ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 52 წლისა უეცრად გარდაიცვალა სააქციო საზოგადოება „სპორტის სასახლის" გენერალური დირექტორი

თენგიზ გრიგოლის ძე
ლომიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### იუნიორებთან და ჭაბუკებთან

ჟენევაში გაიმართა იუნიორ (18 წლამდე) და ჭაბუკ (16 წლამდე) ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირების წილისყრა. იუნიორთა ტურნირში საქართველოს ფეხბურთელები მოხვდნენ XIV ჯგუფში ბულგარეთისა და სომხეთის წარმომადგენლებთან ერთად. ჭაბუკთა ტურნირში ჩვენი გუნდი შეეჯიბრება (V ჯგუფი) საბერძნეთისა და ბულგარეთის ფეხბურთელებს.

## ხუთი რგოლის გარშემო

● ატლანტის ოლიმპიადა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 100 წლისთავს ეძღვნება და, ამდენად, გამორჩეული სპორტული ასპარეზობა იქნება. ეს, სხვათა შორის, ეტყობა ყველაფერს, მონაწილეთა რაოდენობასაც კი. ატლანტის თამაშებში გამოსვლის სურვილი დაადასტურა 195-მა ქვეყანამ. თავდაპირველი ვარიანტით აშშ-ს უნდა სწვეოდა 197 ქვეყნის დელეგაცია, მაგრამ 15 ნოემბრისთვის კომუნისტურმა კორეამ და ავღანეთმა ორგანიზატორებს განაცხადები არ წარუდგინეს.

● ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადა (1994 წ) ეკოლოგიური თვალსაზრისით აბსოლუტურად სუფთა ოლიმპიადად არის მიჩნეული. თუმცა ნორვეგიელი მწვანეები ამ მოსაზრებას არ იზიარებენ. მათ ლილეჰამერის თამაშებს ეკოლოგიურად მიუღებელი ღონისძიება უწოდეს. მწვანეები აღშფოთებული არიან იმით, რომ ახალი სტადიონებისა და ტრასების მშენებლობის მიზნით განადგურდა 50 აკრი მიწა და 750 აკრი ტყე.

● კოპენჰაგენი (დანია) აღარ წამოაყენებს თავის კანდიდატურას 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლად. მაგრამ არ არის გამორიცხული იბრძოლოს 2008 წლის თამაშების ჩატარების უფლებისათვის. ეს განაცხადა დანიის მთავრობის წარმომადგენელმა, რომელმაც განმარტა, რომ 2004 წლის ოლიმპიადის პროექტი ხელისუფლებას დაგვიანებით წარუდგინეს და მან ვერ მოასწრო მისი დეტალური შესწავლა. განაცხადების მიღების ვადა კი 1996 წლის 10 იანვარს იწურება. ასე რომ, მთავრობას მართლაც ცოტა დრო ჰქონდა პროექტის განსახილველად, საჭირო დასკვნების გასაკეთებლად და სოკის სახელზე ახსნა-განმარტებითი ბარათის მოსამზადებლად.

● ბიატლონისტთა მომავალმა ასპარეზობამ ნაგანოს (იაპონია) ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზატორები მოულოდნელი პრობლემების წინაშე დააყენა. საქმე ის გახლავთ, რომ იაპონიაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანებს კატეგორიულად ეკრძალებათ ცეცხლსასროლი იარაღის ხმარება. ამ კანონის მსხვერპლი გახდა ამას წინათ იაპონიაში გამართული მსროლელთა მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე უცხოელი მონაწილე. სოკმა თხოვნით მიმართა ორგანიზატორებს მოახდინონ ზემოქმედება მთავრობაზე და ბიატლონისტთა შეჯიბრებაზე გამონაკლისის სახით დაუშვან ახალგაზრდა სპორტსმენები. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გამოუსწორებელი სკანდალი მოხდეს.

# თავიანთ პრობლემებს მსაჯები უკეთ ხედავენ...

(პირველი გვერდიდან)

საუკეთესო მსაჯთა სიაში. უმსაჯია სსრ კავშირის 28 ჩემპიონატი, 5 სპარტაკიადა, ევროპის ჩემპიონატები, მიწვეული იყო მოსკოვის ოლიმპიადაზე. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, მუშაობს თბილისის შამპანური ქარხნის დირექტორის მოადგილედ ტექნოლოგიისა და ხარისხის დარგში.



● **ბატონო მურმან, გამოდის, რომ მთელი ცხოვრება კალათბურთთან ხართ დაკავშირებული...**

— რა თქმა უნდა, არც ვაპირებ განშორებას.

● **თქვენ, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მსაჯი იყავით უმაღლეს ლიგაში, როგორც ჩანს თავიდანვე კარგად წაგივიდათ საქმე...**

— დიახ, მაშინ იშვიათად თუ ანდობდნენ 19 წლის ბიჭს საკავშირო თამაშებს, რომელიც რანგით არ ჩამოუვარდებოდა ევროპის ჩემპიონატს.

● **ჩვენი საუბარი ძირითადად შეეხება ქართულ კალათბურთს და, ცხადია, უპირველესად ეროვნული ჩემპიონატის მსაჯობის პრობლემებს. რა დასამალია, ბოლო წლებში არაერთი უსიამოვნო ფაქტი მოხდა მოედანზე, ჩრდილი მიადგა ეროვნულ ჩემპიონატს. რა არის ასეთ უმსგავსოებათა გამომწვევი მიზეზები?**

— უპირველეს ყოვლისა გეტყვით, რომ ეროვნული ჩემპიონატისათვის 10-მდე მაღალი რანგის არბიტრის თავმოყრა არ ხერხდება. გვყავს მხოლოდ 3-4 ძლიერი მსაჯი, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ. თუ დავძენთ, რომ ეროვნული ჩემპიონატის მსაჯობა ძალზე რთული საქმეა, მიზეზებიც ცხადი გახდება.

● **უფრო ხომ არ დააკონკრეტებდით?**

— როცა ყველგან კანონის უპატივცემულობაა და საერთო განწყობაც დაძაბულია, არც მოთამაშეები და გულშემატკივრებია გამონაკლისი. ამას ემატება ჩვენი სამხრეთული ბუნებაც. ერთი უბედურება ისიცაა, რომ მსაჯი არაა დაცული — არც მოედანზე, არც მის მიღმა.

● **რას გულისხმობთ?**

— ვერ მივაღწიეთ, რომ თამაშებს წესრიგის დამცველები ესწრებოდნენ. ასეთი რამ არსად ხდება. მით უფრო, რომ როგორც ზემოთ ვთქვით, ჩემპიონატი ტარდება ნერვულ, დაძაბულ ატმოსფეროში. მოედნის გარეთ მსაჯის დაცვაში ბევრი რამ იგულისხმება: ხშირად შედეგით განაწყენებული მწვრთნელები და მოთამაშეები, გნებავთ მათი ქომაგებიც, საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ცდილობენ იმართლონ თავი და ყველაფერი გადააბრალონ მსაჯს. არადა, მსაჯის შეფასება მხოლოდ ფედერაციის პრეროგატივაა, ჩვენს გამოქომაგებაზე და ინტერესების დაცვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ის კი არა, საუბედუროდ, იმასაც ვერ მივაღწიეთ, ფედერაციაზე განვიხილოთ განვლილი ჩემპიონატის შედეგები. ასეთი უყურადღებობის შემდეგ მსაჯებს ცხადია, ხალისი ეკარგებათ, თვით გამოცდილი არბიტრებიც თავს არიდებენ მსაჯობას. ახალი შევსება უფროსი თაობის დაუფასებლობის გამოც არ ჩანს.



● **ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ წავიდა ის დრო, როცა ყველაფერი ენთუზიაზმით კეთდებოდა...**

— ჩემი წინამორბედი და ჩემი თაობა საკავშირო ჩემპიონატებში დაოსტატდნენ, ინტერესიც დიდი იყო, ახლა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თუ მსაჯები არ დავაინტერესეთ მატერიალურად, უახლოეს მომავალში ეროვნული ჩემპიონატის მსაჯი სანთლით დასაძებნი გაგვიხდება.

● **ალბათ მსაჯობის ანაზღაურების, კადრების მომზადების სისტემაზეც უნდა ვიფიქროთ...**

— თუ გავითვალისწინებთ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მაგალითებს, ვთქვათ, იგივე ანაზღაურების საკითხს და, თუნდაც მინიმალურ გასამჯელოს შემოვიღებთ, საქმეს, ვფიქრობ, ეშველება. ბევრია ჩვენს გუნდებში ასაკოვანი კალათბურთელი. მე მქონდა მათთან საუბარი. ისინი ამბობენ, რომ უკალათბურთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ, მზად არიან იმსაჯონ, მაგრამ მათაც ხომ ოჯახები ჰყავთ. ვიდრე თამაშობენ საკმაო თანხას იღებენ, თანაც მსაჯობას ნაკლები დრო როდი მიაქვს. ჩვენ გაგვაჩნია შესაძლებლობები ჩავატაროთ სემინარები და ყოფილი კალათბურთელებისგან მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური არბიტრები, თუნდაც, უსასყიდლოდ.

● **საიდან, რა საშუალებებით უნდა მოხდეს მსაჯთა გასამჯელოს ანაზღაურება?**

— მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სამსაჯო თანხები არავითარ შემთხვევაში ჩემპიონატში მონაწილე გუნდებმა არ უნდა გაიღონ. მათ ფული ფედერაციაში მხოლოდ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის უნდა შეიტანონ. მსაჯებს ფედერაციამ ანაზღაურება უნდა გადაუხადოს სხვა შემოსავლებიდან. თუ საიდან, ამაზე თავად უნდა იფიქრონ, ფედერაციის წესდებაში ხომ შემოსავლის ბევრი წყაროა მითითებული. ფაქტია, უმალვე გამოიძებნება ხოლმე ნაკრებისათვის ყველა საჭირო თანხები, თუნდაც მინიმალური. მსაჯობაც კალათბურთის შემადგენელი ნაწილია, ეს ყველამ კარგად უნდა გაითავისოს.

● **კიდევ რა პრობლემები აქვთ მსაჯებს?**

— ჩვენ საერთოდ ჩრდილში ვართ. არავითარი მორალური წახალისება. ბევრი ფედერაცია ასახელებს საუკეთესო მსაჯს. ჩვენ არავის ვახსოვართ, გვივიწყებენ მაშინაც, როცა ნაკრები მიემგზავრება უცხოეთში. საკითხავია, დელეგაციაში რატომ არ რჩება თუნდაც ერთი ჩვენთაგანის ადგილი? სხვათა შორის, შეიძლება მსაჯათაც გავყვეთ. რატომღაც, ჩვენთან მსაჯი მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის თამაშების წინ ახსენდებათ.

● **თქვენი აზრი ქართული კალათბურთისა და ეროვნული ჩემპიონატის შესახებ...**

— ჩვენში ხალხს უყვარს კალათბურთი, მასში ხედავს სილამაზეს, აზარტს, მახვილგონიერებას, ოსტატობას, ეროვნულ ენერგიას. ამიტომაც, კალათბურთს კარგი პერსპექტივა აქვს. ბევრი, ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა იზრდება. იმედებს ისიც ამყარებს, რომ დაარსდა ბავშვთა საკალათბურთო ლიგა და მისმა მატჩებმა კიდევ უფრო პოპულარული გახადა სპორტის ეს მართლაც მიმზიდველი სახეობა ჩვენში. ყველა მატჩი ზეიმად რომ იქცეს, ბევრი რამ, დამეთანხმებით, დამოკიდებულია მსაჯებზე.

ეროვნულ ჩემპიონატზეც გეტყვით. რა თქმა უნდა, კარგია რომ ტარდება ჩემპიონატი, მაგრამ მხოლოდ ამ ასპარეზობით არ უნდა შემოვიფარგლოთ. დრო დადგა ვიფიქროთ საერთაშორისო ტურნირების ჩატარებაზე. ვფიქრობ, ჩვენ უნდა ჩავუყაროთ საფუძველი შავი ზღვის აუზის ქვეყნების ტურნირის ჩატარებას და ტრადიციულად დავამკვიდროთ იგი, რაშიაც ხელისუფლებაც დაგვიჭერს მხარს. ეს აამაღლებს როგორც კალათბურთელების, ისე მწვრთნელებისა და მსაჯების კვალიფიკაციას. რა დასამალია, საქართველოს საკლუბო გუნდებმა კალათბურთშიც და ფეხბურთშიც ევროპის თასები ყოფილი სსრ კავშირის ჩემპიონატში ამაღლებული ოსტატების შედეგად მოიპოვეს. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ტურნირშიც ასეთ პერსპექტივას ვხედავ. რაკი სპორტი „მშვიდობის დესპანია“, ამ ტურნირმა არ შეიძლება ხელი არ შეუწყოს ეთნოკონფლიქტების მოგვარებას ამიერკავკასიაში.

● **თქვენ ახლახანს 50 წელი შეგისრულდათ, გილოცავთ!**

— გმადლობთ!

ესაუბრა ცოტნე ბაქრაძე.

## სპორტი და გამოჩენილი ადამიანები

# სერგო ზაქარიაძე — ფეხბურთელი

სპორტსა და ხელოვნებას შორის რომ ბევრი რამ საერთოა, ეს არაერთი აღნიშნულია ცნობილი. ამაზე თვალნათლივ მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თანამედროვე ოლიმპიადების ფუძემდებელმა პიერ დე კუბერტენმა აღორძინებული თამაშების პროგრამაში სპორტულ შეჯიბრებებთან ერთად შეიტანა სხვადასხვა კონკურსები ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ეს ტრადიცია კარგა ხანს არსებობდა ოლიმპიურ მოძრაობაში, მაგრამ უკვე რამდენიმე ათწლეულია მის ნაცვლად ოლიმპიადებს თან ახლავს ფართო კულტურული პროგრამა, რომელიც მხოლოდ თამაშების საზეიმო გახსნისა და დახურვის დროს ეწყობა და ოლიმპიადის ძირითად ღონისძიებაში არ შედის.

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე ხელოვნებასა და სპორტს ერთ, ე.წ. ინტროგენულ კავშირში განიხილავდა. „მოქმედება“ იქაც და იქაც მაყურებლის თვალწინ ხდება, ორივეგან ერთნაირად საჭიროა ტექნიკა, ოსტატობა, ტემპერამენტი, შემართება და, ბოლოს, შეიძლება გავიხსენოთ მთელი რიგი სპორტსმენები, რომლებიც კარგი მსახიობები, კომპოზიტორები, მხატვრები, მწერლები არიან. ანდა, პირიქით—ცნობილი ხელოვანნი წარმატებას სპორტშიც აღწევდნენ.



ს. ზაქარიაძე (1932 წ.)

დღეს გვინდა შემოგთავაზოთ ამ თემაზე პირველი წერილი, რომელიც გამოჩენილ ქართველ მსახიობს, სახალხო არტისტს სერგო ზაქარიაძეს ეხება.

სერგო ზაქარიაძის ფეხბურთელობა შემთხვევით აღმოვაჩინეთ. საშინაო ბიბლიოთეკაში ერთი სქელტანიანი წიგნი გვაქვს —მარკ ლევინის „სერგო ზაქარიაძე“. ამ წიგნში ცნობილი მსახიობის მრავალი ფოტოსურათია მოთავსებული. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა მათგანმა მიიქცია: „სერგო ზაქარიაძე — თბილისის „დინამოს“ მარჯვენა გარემარბი, 1932 წელი“.

ცხადია, ყველამ კარგად იცის ს. ზაქარიაძის როლები: გიქუა, ქამთაბერი, ბაგრატიონი, ჰიგინსი, ოიდიპოსი, კლავდიუსი, ფიროსმანი, ბაყბაყი, მეფე ლირი, კრეონი, ბეკინა, თორღვაი, სიმონა, შადიმანი, გიორგი მახარაშვილი, მაგრამ აი... ფეხბურთელი?!

თავდაპირველად ზაქარიაძეების ოჯახში დავრეკეთ. გვახსოვდა, რომ ბატონ სერგოს ვაჟი ინჟინერი გუგა ზაქარიაძე (მან პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა) ახალგაზრდობაში ნიჭიერი კალათბურთელი იყო. იგი ცნობილი მწვრთნელის მიხეილ კეკელიძის „ბურევესტნიკში“ თამაშობდა ისეთ ოსტატებთან, როგორნიც იყვნენ ანზორ ლექავა, სანდრო გურჯიძე, ვალერი ლომაძე, თამაზ კაკაურიძე,თამაზ ტოგონიძე, ასთამურ აჩბა, ერიკ ქაშაკაშვილი, მარლენ კეკელია და სხვანი. ამჟამად გუგა ზაქარიაძე თურმე მოსკოვში ცხოვრობს. ცხადია, საუბარი ვერ მოვახერხეთ.

ჩვენი მეორე ზარი ძველი დინამოელი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გრიგოლ გაგუას ბინაში გაისმა. გ. გაგუა „დინამოში“ 1935 წელს მოვიდა. სამწუხაროდ, ბატონ გრიშას სერგო ზაქარიაძის ფეხბურთელობის შესახებ არაფერი ჰქონდა გაგონილი.

არც მის ცნობილ თანაგუნდელ ასლან ხარბედიასთან საუბარმა მოგვცა რაიმე ცნობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ბოლოს კიდევ ერთ სასიქადულო ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გაიოზ ჯეჯელავას დაველაპარაკეთ. მისმა პასუხმა ერთგვარი სინათლე შეიტანა თემაში „ზაქარიაძე — ფეხბურთელი“. მაშ ასე:

— სერგო ზაქარიაძე ჩემი საყვარელი მსახიობი იყო. ერთნაირად მომწონდა თეატრის სცენაზეც და კინოეკრანზეც. რომელი ერთი როლი გავიხსენო — კარგი იყო კომედიურ სახეებშიც და ტრაგიკულშიც, ერთნაირი სიძლიერით განასახიერებდა ქართველ თუ სხვათა როლებს. რაც შეეხება მის ფეხბურთელობას, ამის შესახებ გაგონილი მქონდა სხვებისგან და თვით ბატონი სეროსგანაც: „თბილისის“ დინამოში“ თქვენზე ადრე ვთამაშობდი ჯერ კიდევ ჭიჭიკო ფაჩულიასთან ერთად. „სამწუხაროდ, მისი თამაში მინდორზე არ მახსოვს. ისე კი ჩვენი გუნდის ვარჯიშზე მოდიოდა ხშირად „დინამოს“ სტადიონზე; რამდენჯერმე სპორტულ ფორმაშიც ჩვენთან ერთად გამოსულა მინდორზე და ბურთი „გაუგორ-გამოუგორებია“ — ფეხბურთი მსახიობობაშიც მეხმარებაო!“

აი ეს არის და ეს!

თუ ვინმემ კიდევ იცის რაიმე „სერგო ზაქარიაძე — ფეხბურთელის“ შესახებ, იქნებ გამოეხმაუროს რედაქციას. ერთს კი დავძენთ: ზემოხსენებული წიგნი დიდი მსახიობის სიცოცხლეში დაიწერა და ფოტოც და მისი წარწერაც ალბათ ავტორმა თვით ს. ზაქარიაძესთან ერთად შეარჩია.

ოთარ ნოზაძე

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

**ბათუმი.**

საქართველოს აღორძინების კავშირის ინიციატივით, ბათუმის ბილიარდის კლუბ „დელფინში“ ჩატარდა საშემოდგომო ტურნირი ბილიარდის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობაში — „სიბირიაჩკა“.

მთავარი პრიზისათვის ბრძოლაში ორმოცამდე მოყვარული ჩაება. ფინალამდე დავით ფიფიამ და აჭარის სპორტის ვეტერანმა მუშაკმა ედუარდ ჯოჯუამ მიაღწიეს. გაიმარჯვა ფიფიამ — 3:1.

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველმა ნიაზ გოგიტიძემ საჩუქრებით დააჯილდოვა ფინალისტები, აგრეთვე მესამე და მეოთხე პრიზიორები სურენ მელქონიანი და თენგიზ ლლონტი.

**თბილისი.**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფალავანთა კლუბში წლეულს უკვე მესამე ღია პირველობა ჩატარდა, ამჯერად სამბოში. გარდა აკადემიის სტუდენტებისა, მონაწილეობდნენ თსუ-ს და აგრარული უნივერსიტეტის, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და „შევარდენის“ სპორტსმენები. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 57 კგ. — მამუკა მაზმიშვილი, 62. კახი მოცრაძე, 68. კოტე ქალისური, 74. ზურაბ მუზაშვილი, 90. ლადო ხუციშვილი. ეს უკანასკნელი წლეულს მოსკოვში გამართული საერთაშორისო ტურნირის პრიზიორია მკლავჭიდში.

ირაკლი დოლაბერიძე

საქართველოს შსს აკადემიას 70 წელი შეუსრულდა. გაიმართა საიუბილეო სპარტაკიადა, ფრენბურთსა და ფეხბურთში, რომელშიაც მონაწილეობდა სამართალმცოდნეობისა და ტექნიკური ფაკულტეტის, აგრეთვე აკადემიასთან არსებული სასწავლო ცენტრის 8 გუნდი.

ფრენბურთში ფინალში გავიდნენ სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის II და IV კურსის გუნდები. გაიმარჯვეს IV-კურსელებმა (კურსის უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი პეტრე ომანაძე).

ფეხბურთშიც სამართალმცოდნეობის IV-კურსელებმა იმარჯვეს, დამატებით დროში მათ ამავე ფაკულტეტის III-კურსელებს სძლიეს 2:1 (1:1). საუკეთესო ფეხბურთელებს — დ. სირბილაძეს, მ. კვაშილავას, კ. ხაჩიძეს, აგრეთვე გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცათ პრიზები. სპარტაკიადის ჩატარებას უხელმძღვანელეს პოლიციის პოლკოვნიკმა გ. ზედგენიძემ და უფროსმა ინსპექტორმა ზ. ბერიაშვილმა.

ბორის ძნელაძე,
აკადემიის პრესცენტრის ინსპექტორი

# სად არის დოროხოვი?! — იკითხა ლავრენტი ბერიამ

(პირველი გვერდიდან)

ერთმა შეფ-ხელმძღვანელმა მარკ მიჩურინმა.

თურმე, ნუ იტყვით, მატჩის წინა დღეს ა. დოროხოვი მეარღნეებთან და თავის მეგობართან, ბაბკენასთან (იგი ცნობილი თბილისელი ტანისამოსის გამომჭრელი — „ზაკროიშჩიკი" — იყო) ერთად კუკიაზე ქეიფობდა. დინამოელთა მეკარე შინსახკომელებს იქვე აუყვანიათ და „კუტუზკაში" ჩაუსვამთ.

— რამ გაგაგიჟათ, თქვენ რა, დოროხოვს იჭერთ თუ... ჩვენს გულშემატკივრებს, ახლავე გაანთავისუფლეთ და მოიყვანეთ სტადიონზე! — განრისხდა ლ. ბერია.

გავიდა რამდენიმე წუთი და ალექსანდრ დოროხოვი უკვე „დინამოს" სტადიონზე იყო. გზაშივე ჩააცვეს ფეხბურთელის ფორმა და მსაჯის საწყის სასტვენზე იგი თანაგუნდელებთან ერთად მოედნის ცენტრისკენ გამორბოდა თავის ტრადიციულ მწვანე სვიტერში გამოწყობილი — ლამაზი, ტანადი, სხარტი. ტრიბუნებიდან მქუხარე ტაშმა იგრიალა. არადა, იმ დღეს თბილისში ხმა გავარდა: „გუშინ დოროხოვი დაუკავებიათო!". ა. დოროხოვმა დიდებულად ითამაშა — ბურთი არ გაუშვია და დინამოელებმა დამაჯერებლად მოიგეს მატჩი. მაყურებლებმა ოვაციით გააცილეს ჩვენი გუნდი, განსაკუთრებული მოწონება მაინც დოროხოვს ხვდა.

ეს ჩინებული მეკარე ანდრო ჟორდანიასთან და ნიკოლაი ანიკინთან ერთად ივანოვო-ვოზნესენსკის „ოსნოვაში" თამაშობდა და 1935 წელს თავის გუნდთან ერთად ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად თბილისს ეწვია. სწორედ იმ პერიოდში გადმოიყვანეს ა. დოროხოვი და ნ. ანიკინი თბილისის „დინამოში", ცხადია, ლავრენტი ბერიას ხელშეწყობით. აი, ა. ჟორდანია კი ისევ ივანოვოში გაემგზავრა.

უნდა ითქვას, რომ ლ. ბერია „დინამოს" ძველ სტადიონზე პლეხანოვზე თუ ლენინის სტადიონზე სართანიას ქუჩაზე, ჩვენი გუნდის ყველა მატჩსა და ხშირად ვარჯიშსაც კი ესწრებოდა. ძალიან მოსწონდა ბორის პაიჭაძე და გაიოზ ჯეჯელავა, სპეციალურად დადიოდა მათ თამაშებზე. სწორედ ლ. ბერიამ გადაიყვანა გაიოზი „დინამოში", მერე კი 1937 წელს გაუნთავისუფლა დაპატიმრებული მამა.

## ზამთრის ოლიმპიადა... ბაკურიანში

**1947 წლის** ზაფხული იდგა. ხაშურში ერთ-ერთ უკაცრიელ მინდორ-ველზე სასწრაფოდ ააგეს აეროდრომი. იმ დღეებში ბორჯომში მოულოდნელად ჩამოვიდნენ ლავრენტი ბერია და კანდიტ ჩარკვიანი (საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი), დირექციამ ლიკანის სანატორიუმიდან სასწრაფოდ გაასახლა დამსვენებლები — სხვა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გადაიყვანეს. ხალხს ვერაფერი გაეგო: „მგონი ახალი ომი იწყებაო... თურქეთთან!"

სინამდვილეში აეროდრომი ხაშურში იმიტომ ააგეს, რომ თურმე იოსებ ბესარიონის ძე სტალინი უნდა ჩამოფრენილიყო რამდენიმე დღით ლიკანში დასასვენებლად.

იმ დღეებში ლიკანს ეწვია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი საკავშირო სპორტკომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად. საქმე ისაა, რომ განზრახული იყო ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად ბაკურიანის კანდიდატურის წარდგენა. სტუმრებმა ამისათვის ლ. ბერიას მიმართეს. ბერიას კი ასე განუცხადებია: „ამ საკითხს მე ვერ გადავწყვეტ — ჰკითხეთ იოსებ ბესარიონის ძეს!"

ჩამოსულები ი. სტალინმა მიიღო, ყურადღებით მოუსმინა და მოკლედ უპასუხა: „ახლა აქ საზღვარგარეთელ „შპიონებს" ვერ შემოვუშვებ!" ბაკურიანის გამოცხადება ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქად გადაიდო. კარგა ხნით გადაიდო! ეგებ როდესმე მაინც ეღირსოს?..

## დაკარგული პენსნე

**სასოფლო-სამეურნეო** ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ფრენბურთის გუნდში თამაშობდა ლავრენტი ბერიას მეუღლე — ნინო გეგეჭკორი. თურმე მან ბერიასთან რამდენჯერმე ქებით მოიხსენია თავიანთი ინსტიტუტის ვაჟთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში თბილისის „ნაუკას" რამდენიმე წევრი იყო. ლ. ბერია დაინტერესდა გუნდით და ინსტიტუტში მის ვარჯიშზე სპეციალურად გააგზავნა „დინამოს" შეფი მარკ მიჩურინი, რათა მასთან კრწანისში მიეყვანა ფრენბურთელები. ცხელი გაზაფხული იდგა, ხარობდა ყველაფერი, ხილსაც კარგად ესხა. კრწანისის აგარაკზე სპორტსმენებს მისი მთავარი აგრონომი ვასო ჩხუბიანიშვილი შემოეგება. ეჭვის თვალით აათვალ-ჩაათვალიერა სპორტულ ფორმასა და „ტაპოჩკებში" გამოწყობილი ყმაწვილები. უცებ საიდანღაც ტანდაბალი, ჩასუქებული კაცი გამობრძანდა საშინაო „პიჟამოში". ცხვირზე პენსნე ჰქონდა გაკეთებული.

ბერია!

— ეს არის ის გუნდი? — იკითხა ლ. ბერიამ — მოდით, აბა, თუ ნამდვილი ფრენბურთელები ხართ, ვითამაშოთ!

იქვე პატარა ლამაზი სპორტული მოედანი იყო, შუაში ფრენბურთის ბადე ჰქონდა გადაჭიმული.

ბერიამ თავად შეადგინა „გუნდი" — ნინო გეგეჭკორი, ვასო ჩხუბიანიშვილი, ორი კაცი დაცვიდან, მძღოლი და... და ლავრენტი ბერია. ჩვენ ჩვენი უძლიერესი ექვსეული გამოვიყვანეთ, ყველაზე გამოცდილები და, რომ იტყვიან, დაღვინებულნი, რათა რაიმე უხერხულობა არ მოგვსვლოდა. გადაწყვეტილი გვქონდა უბრალოდ, რაღაც „პლაჟური ფრენბურთი" გვეთამაშა, ასე ვთქვათ, ბურთის ბადეზე „გადაგდებ-გადმოგდებით" („პერეკიდკა"). ლ. ბერია სულ მალე მიხვდა ყველაფერს და სიბრაზით იკითხა „ასე უნდა ითამაშოთ მოსკოვში?!"

— ამ სიტყვების შემდეგ ცოტა არ იყოს „ავიწყვიტეთ". მიშა ტურჩინსკის ავუგდე ბურთი, ძლიერი დარტყმა — „ტოპკა" და... ბურთი მოულოდნელად ბერიას მოხვდა. წაიქცა „ხაზეინი", პენსნე მოძვრა ცხვირიდან, მერე მოძებნა იგი. ამასობაში ყველანი მივცვივდით მას, ფეხზე წამოვაყენეთ. ხმას არავინ იღებდა, გაოგნებულნი ვიდექით. სიჩუმე ისევ ლ. ბერიამ დაარღვია: „არა უშავს რა, კარგია, კარგი!" ამის შემდეგ იგი შევიდა სახლში, ეტყობა მაინც უხერხულად დაეცა. ყველას შეგვეშინდა, მაგრამ... საბედნიეროდ, მალე დაბრუნდა. უნდა გენახათ მიშა ტურჩინსკი, სულ მთლად გაფითრებული იყო: „დამიჭერენ, ნამდვილად დამიჭერენ!" მერე ჩხუბი დამიწყო, რატომ ამიგდე ბურთი დასარტყმელად? იმდენად „გაფუჭდა" საწყალი, რომ მოსკოვში დიდი არაფერი გაუკეთებია, ეტყობა თამაშის დროსაც დაჭერაზე ფიქრობდა.

გავიდა დრო და... მიხაილ ტურჩინსკი ჯერ თბილისის „დინამოში" მიიღეს, მერე კი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და იქ განაგრძობდა თამაშს ადგილობრივ „დინამოში".

ცხადია, მოსკოვში არავინ იცოდა, რომ მიშამ თავის დროზე... თვით ლავრენტი ბერია წააქცია მოედანზე.

ოთარ ნოზაძე

# ნოდარ დიასამიძე: ჩვენ ქართული ფეხბურთის აღმავლობის ეროვნულ საქმეს ვემსახურებით...

(პირველი გვერდიდან)

ქართველოში ფეხბურთი შავიზღვისპირეთიდან შემოვიდა. ერთ-ერთი წყაროს (ა.ცამციშვილის 1960 წელს გამოცემული „ფეხბურთი საქართველოში") მიხედვით კი — ფეხბურთის ისტორია საქართველოში 1894 წლიდან და ბათუმიდან იწყება. საქართველოს გუნდებიდან პირველი საერთაშორისო მატჩიც ბათუმელმა ფეხბურთელებმა გამართეს 1925 წელს თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში, სადაც წარმატებით დაიცვეს სამშობლოს ღირსება და საფუძველი ჩაუყარეს მომავალ წარმატებებს.

ავღნიშნავ იმასაც, რომ 68 წლის წინათ, 1927 წელს საქართველოს პირველ ჩემპიონატში გამარჯვებული ბათუმის ნაკრები გუნდი გამოვიდა.

● **დღეისათვის რა მიგაჩნიათ თქვენი ფედერაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებად?**

— ამჟამად, ურთულესი და დუხჭირი ცხოვრების ვითარებაში, ალბათ ძნელიცაა ქართული ფეხბურთის აღმავლობაზე ილაპარაკო, მაგრამ არ შეიძლება არ გამოვძებნოთ შესაძლებლობები ფეხბურთის ასაღორძინებლად. ჩვენმა ფედერაციამ, რომელიც მუდმივად გრძნობს ყურადღებასა და დახმარებას უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ასლან აბაშიძისაგან, სამოქმედოდ 5 ძირითადი მიმართულება განსაზღვრა: სპორტულ ბაზებზე სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება; მოქმედი ფეხბურთელებისათვის, მწვრთნელებისა და ვეტერანებისათვის რეგულარული მატერიალური და ფინანსური დახმარების გაწევა, სპორტული ღონისძიებების ორგანიზაცია; ბავშვთა ფეხბურთის გამოცოცხლება და გულშემატკივრებისთვის ხელისშემწყობი პირობების შექმნა.

● **აჭარის ფეხბურთის სახე ბათუმის „დინამოა" და თუ უკანასკნელი შედეგებით ვიმსჯელებთ, წინსვლა აშკარაა...**

— ნამდვილად დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ევროპის თასების მფლობელთა თასზე პირველი ეტაპის გადალახვა — გამარჯვება იუგოსლავიაში, ორი გოლი სახელგანთქმული კლუბის გლაზგოს „სელტიკის" კარში და ა.შ. ამჟამინდელი მდგომარეობაც არ არის ურიგო, „დინამომ" პირველი წრე 31 ქულით დაამთავრა, თასის გათამაშებაში კი მეოთხედფინალში გავედით. ეს გუნდთან ერთად იმ პატრიოტი ხალხის დამსახურებაცაა, ვინც გვერდით გვიდგას... ზემოთ ვთქვით დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების შესახებ. აბა, პატრიოტები რომ არ გვედგას მხარში, შევძლებდით კი „დინამოს" სტადიონის თანამედროვე დონეზე კეთილმოწყობას? ფეხბურთელებსაც ხომ ოჯახები ჰყავთ...

სტადიონის რეკონსტრუქციაზე ლომის წილი გაიღეს და მუდმივ დახმარებას გვიწევენ საქართველოს საზღვაო სანაოსნო (ბ. ვარშანიძე, ა. სმირბა), ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური (ა. ბოლქვაძე), ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (თ. ხარაზი), აჭარის კონტროლის პალატა (მ. შარაბიძე), აჭარისა და ბათუმის საგადასახადო ინსპექციები (რ. ჯიჯავაძე, ა. მესხიძე), აჭარკოოპკავშირის გამგეობა (ლ. ქიძინიძე), ბათუმის საბაჟო (ლ. გვარიშვილი), მთავარი საგარეო ეკონომიკური სამმართველო (ლ. ადეიშვილი), ფირმა „არჩერი" (გ. ზედარია), ფირმა „იაგუარი" (თ. გოგიტიძე) და სხვები. ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები აჭარის ფეხბურთის ფედერაციის წევრები არიან.

● **საიდან იღებს „დინამო" ძირითად შევსებას?**

— ადგილობრივი მოზარდთა გუნდებიდან, სადაც საკმაოდ კვალიფიციური მწვრთნელები გვყავს, თაობა კი უდავოდ ნიჭიერი მოდის. გამოცდილ მწვრთნელებთან ვლასი კობიძესთან, ზაურ პატარაიასთან, გარი ქიქავასთან, იური ესებუასთან ერთად ნაყოფიერად მუშაობენ შედარებით ახალბედები გია ჯორბენაძე, კონსტანტინ კაზანციდი, ასლან ბალაძე, ჯუმბერ მენაბდე, ომარ ნამერვაძე.

გურჯაანში 1982-83 წლებში დაბადებულ ბავშვთა საფეხბურთო ტურნირში ასლან ბალაძის აღსაზრდელებმა მესამე ადგილი დაიკავეს. წარმატებით იასპარეზეს გ. ჯორბენაძის აღსაზრდელებმაც (1980-1982 წლებში დაბადებულნი).

● **მასობრიობაზე რას გვეტყოდით?**

## აჭარის 1994-1995 წლების ჩემპიონატი ფეხბურთში „საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „საბაჟო" (ბათუმი) | 20 | 18 | 2 | 0 | 76-32 | 56 |
| „მეზღვაური"(ბათუმი) | 20 | 14 | 2 | 4 | 98-19 | 44 |
| „ხიხანი" (ხულო) | 20 | 13 | 2 | 5 | 55-38 | 41 |
| „საჩინო" (საჩინო) | 20 | 12 | 2 | 6 | 61-25 | 38 |
| „არენა" (ახალსოფელი) | 20 | 11 | 4 | 5 | 54-33 | 37 |
| „შევარდენი" (იერეხი, ხელვაჩ. რაიონი) | 20 | 11 | 1 | 8 | 54-32 | 31 |
| „პოლიგრაფსერვისი" (ბათუმი) | 20 | 9 | 0 | 11 | 41-50 | 27 |
| „კახაბერი" (მეჯინისწყალი, ხელვაჩ. რ-ნი) | 20 | 5 | 3 | 12 | 32-59 | 18 |
| „ტალღა" (ოჩხამური, ქობ. რ-ნი) | 20 | 3 | 1 | 16 | 28-93 | 10 |
| „თაიგული" (ცეცხლაური, ქობ. რ-ნი) | 20 | 3 | 0 | 17 | 27-76 | 9 |
| „ჭოროხი" (ჯარნალი, ხელვ. რ-ნი) | 20 | 2 | 1 | 17 | 33-102 | 7 |

## ბომბარდირთა სია

1. ავთანდილ გვიანიძე („მეზღვაური") 25 გოლი
2. მინდია ჩხაიძე („მეზღვაური") 21
3. გოჩა კოჩალიძე („ხიხანი") 12
4. თემურ ესებია („საბაჟო") 12
5. თენგიზი ბეჟანიძე („საბაჟო") 11
6. იური სალუქვაძე („საჩინო") 11
7. მერაბ გეთია („მეზღვაური") 10



— ყოველწლიურად ვატარებთ აჭარის ჩემპიონატს, თასის გათამაშებას. ზამთრის პერიოდში დიდი ადგილი ეთმობა მინიფეხბურთს. ყოველწლიურად იზრდება შეჯიბრებებში მონაწილეთა რიცხვი, მაგალითად, თუ აჭარის წინა ჩემპიონატში 6 გუნდი გამოდიოდა, 1994-1995 წლების პირველობაში მათი რიცხვი 12-მდე გაიზარდა (ჩემპიონატი 11-მა დაასრულა). სასიამოვნოა, რომ ჩემპიონატში მესამე ადგილი მაღალმთიანი რაიონის გუნდმა — ხულოს „ხიხანმა" დაიკავა. ვფიქრობთ, მომავალში ქედისა და შუახევის გუნდებსაც ვიხილავთ სარბიელზე.

ქობულეთში, ხელვაჩაურში, ქედაში, შუახევსა და ხულოში ყოველწლიურად ტარდება რაიონული პირველობები, ხსოვნის ტურნირები და ა.შ.

საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში ქობულეთის „შუქურამ" და ხელვაჩაურის „კახაბერ-იაგუარმა" I წრე კარგი შედეგებით დაამთავრეს.

● **ბოლო დროს იმატა ინტერესმა ვეტერანებისადმი — ბათუმის საბაჟოს ფეხბურთელთა წარმატებაზე „ლელოს" ფურცლებზეც აღინიშნა, როგორია ფედერაციის დამოკიდებულება ვეტერანებისადმი?**

— აჭარის ბოლო წლების ჩემპიონი, ბათუმის „საბაჟოს" ვეტერან ფეხბურთელთა გუნდია (პრეზიდენტი შ. თურმანიძე, გუნდის უფროსი ზ. შველიძე, მწვრთნელი გ. ფურცხვანიძე). აქ თამაშობენ წარსულში ცნობილი ფეხბურთელები ვახტანგ ქორიძე, გარი ქიქავა, თემურ და იური ესებუები, ავთანდილ გორგილაძე, გია ზედანია, ტარიელ დურდიაძე, ედიშერ კაკაბაძე, გია ჯორბენაძე, თენგიზ ბეჟანიძე, ავთანდილ კუნჭულია, ვახტანგ ქაცარავა, გია ცანავა, ლევან ქორიძე. გვინდა ტრადიციად დავამკვიდროთ ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირები, ისეთი, როგორც 1994 წელს ჩავატარეთ თბილისის, ბათუმის, მოსკოვის გუნდების მონაწილეობით. ამჯერად ამ გუნდებთან ერთად ქუთაისის, ლანჩხუთის, ოზურგეთისა და თურქეთის ვეტერანი ფეხბურთელების მოწვევასაც ვფიქრობთ. ვგეგმავთ კონტაქტების დამყარებას ისრაელის ვეტერან ფეხბურთელებთან. იქ ნაყოფიერ საწვრთნელ მუშაობას ეწევა ყოფილი ბათუმის დინამოელი მიხეილ მიხელაშვილი. გვაქვს ურთიერთობის წინადადება საბერძნეთის ქალაქ სალონიკიდან, სადაც აჭარაში მცხოვრები მრავალი ბერძენი გადავიდა საცხოვრებლად. მათ შორისაა დინამოელდი ანესტი გეორგიადი.

ალბათ, კარგი იქნება თუ საქართველოს ფედერაცია ჩაატარებს ვეტერანთა რესპუბლიკურ ჩემპიონატს. ასეთი ტურნირები მრავალ ქვეყანაში იმართება. შარშან, მაგალითად „საბაჟოს" გუნდმა გაიმარჯვა იუგოსლავიის ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირში. მსგავსი ღონისძიება შარშანვე, მოსკოვშიც ჩატარდა.

● **ვეტერანებზე საუბრისას ალბათ მათი სოციალური საკითხებიც გაქვთ მხედველობაში...**

— ცხადია, უხერხულია ჩამოვთვალო, ვისაც ასე თუ ისე დავეხმარეთ. მთავარი ეს არაა, მთავარია, ვიცით რომ, ამ მხრივ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ღირსეულ ვეტერანებს სხვა მხრივაც ვაფასებთ. მაგალითად, ჩვენს გამოჩენილ ფეხბურთელს ამირან გოგიტიძეს, თხუთმეტი წელი რომ იცავდა ბათუმის „დინამოს" ღირსებას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დახმარებით, გასაცილებელი საერთაშორისო მატჩი მოვუწყეთ ტრაპიზონის „ტრაბზონსპორთან".

ამ დღეებში ბათუმში ტარდება ოზურგეთის „მერცხალისა" და ბათუმის „დინამოს" ყოფილი თავდამსხმელის ჯონი კაკალაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში...

● **როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო ჩვენს ფეხბურთში პროფესიონალიზმის დასამკვიდრებლად?**

— უპირველესია დაიძებნოს ფინანსური პრობლემების გადაჭრის ეფექტური სისტემა. ვფიქრობ, ერთ-ერთი ასეთი ფორმაა კლუბების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა, რომელთა კოორდინაცია კომერციული უნარის მქონე ფეხბურთის ენთუზიასტებმა უნდა აიღონ თავის თავზე. რიგ ქვეყნებში ის, ვინც სპორტს ეხმარება გადასახადებში გარკვეული შეღავათებით სარგებლობს. ეს იმდენად სერიოზული საკითხია, რომ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას საჭიროებს. თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა, არა მარტო ფეხბურთის, არამედ, საერთოდ, სპორტის განვითარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ცალკეული ფედერაციები მხოლოდ მაშინ შეძლებენ იზრუნონ სპორტისა და პირველ რიგში, ბავშვთა სპორტის განვითარებისათვის, როცა მათ ექნებათ საკმაო ფინანსური კაპიტალი (ამ კაპიტალის მოზიდვა, იძულებით კი არა, საკუთარი ინიციატივით უნდა შეძლონ კომერციულმა სტრუქტურებმა თუ, ცხადია, ხსენებული შეღავათებითაც ისარგებლებენ).

● **საქართველოს პირველობის თაობაზე რას იტყოდით?**

— ჩემი აზრით, 12 გუნდზე მეტი არ უნდა იყოს პირველ ლიგაში. ამ ეტაპზე, რომელიც კიდევ რამდენიმე წელს გასტანს, სხვაგვარად შეუძლებელი იქნება უინტერესო მატჩების (მხედველობაში მაქვს 10 და 11 ბურთის ცალ კარში გატანა) მინიმუმამდე დაყვანა. შეიძლება ოთხი წრე ვითამაშოთ. სერიოზული საკითხია ობიექტურობა, მსაჯთა კორპუსისადმი მეტი ყურადღება და დახმარება.

ესაუბრა დავით ბარამიძე

**ყურადღება!**

შპს „გუმათე" ასრულებს საწარმოთა რეგისტრაციას უმოკლეს ვადებში. მისამართი: „ლელოს" რედაქცია, ტელ.: 99-56-14.

**ყურადღება!**

„ლელოს" რედაქცია თბილისში განთავსებულ სპორტულ ორგანიზაციებს აცნობებს, რომ ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა 1996 წლისათვის შეიძლება, აგრეთვე, უშუალოდ რედაქციაში (კოსტავას, 14. ტელ: 99-56-14). რედაქცია თავად უზრუნველყოფს ამ ორგანიზაციებში და მათ თანამშრომლებთან გაზეთის ადგილზე მიტანას. ხელმოწერა ფორმდება 1996 წლისათვის სამი ან ექვსი თვით, როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდი ანგარიშსწორებით.

# ჯიმი კონორსი — ეს დათარსული „როლან გაროსი“

**რატომ ხდება ასე? ბიორნ ბორგისთვის საერთოდ არ არსებობდა გადაულახავი ზღუდე ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატის გარდა, ჯიმი კონორსი (იხ. ფოტო) წლების განმავლობაში იმარჯვებდა ყველგან, აი საფრანგეთის ღია ჩემპიონატს კი ვერაფერი მოუხერხა**

ჯიმი კონორსი (დაიბადა 1952 წლის 2 სექტემბერს) ძალიან დიდხანს ახარებდა თავის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს. ჭაბუკობისას კენ როზუოლს, ჯოკ ნიუკომბსა და ილიე ნასტასეს ებრძოდა, შემდეგ კი მასთან გაცილებით ახალგაზრდა ჯონ მაკინროუს, ივან ლენდლს, ბორის ბეკერს. აშშ-ს 5 ჩემპიონატში გაიმარჯვა, თითოჯერ-უიმბლდონსა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატში, მოიგო „გრან პრის“: სერიის 107 (!) ტურნირი, მაგრამ ეს დათარსული „როლან გაროსი“ რომ არა...

„ჯიმბო“ (ასეთია ჯიმი კონორსის მეტსახელი), შეიძლება ითქვას მემკვიდრეობითი ჩოგბურთელია. იგი აღზარდა დედამ, პროფესიონალმა ჩოგბურთის მწვრთნელმა, ამასთან სანამ ჯიმი არ წამოიზარდა, ყმაწვილთა ყველა შეჯიბრებაზე თან ახლდა შვილს. კონორსს მალე აღმოაჩნდა ნამდვილი ტალანტი, ჭაბუკთა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. 1972 წელს, ოცი წლისამ, შეწყვიტა სწავლა კალიფორნიის უნივერსიტეტში და პროფესიონალი გახდა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა გამარჯვებამ სტენლი როჯერ სმითთან, რომელიც მანამდე აშშ-ს უძლიერეს ჩოგბურთელად ითვლებოდა.

ყველაზე მეტ წარმატებას კონორსმა 1974 წელს მიაღწია. ამ სეზონში მან 103 მატჩიდან 99 მოიგო, გაიმარჯვა უიმბლდონში, ავსტრალიისა და აშშ-ს ჩემპიონატებში. იგი მსოფლიოს №1 ჩოგბურთელად აღიარეს, თვით კონორსს ეს წელი სამუდამოდ დაამახსოვრდა.

— არ ვიცი, ოდესმე ვინმე შეძლებს იმაზე უკეთ თამაშს, ვიდრე მე 1974 წელს ვთამაშობდი? — ამბობდა იგი.

აი მისი კიდევ ერთი საყურადღებო განცხადება:

— არა მგონია ვინმემ ოდესმე ისე ითამაშოს ჩოგბურთი, როგორ მე ვთამაშობ. მე ისე ვმოქმედებ, რომ უკან არ ვიხედები. არ ვიცი, კიდევ რამდენ წელს დავრჩები კორტზე. ყველას როდი შეუძლია კენ როზუოლივით ძალების შემონახვა. მე ისე ვთამაშობ, თითქოს ყველა ბურთი მატჩის ბედს წყვეტდეს, ისე ვიქცევი, თითქოს ეს მატჩი უმთავრესია ჩემს ცხოვრებაში.

ახლა გამოჩენილ ჩოგბურთელებს მოვუსმინოთ. ავსტრალიელმა ოსტატმა, შემდეგში ივან ლენდლის მწვრთნელმა ტონი როჩმა თქვა:

— კონორსი ტანკს ჰგავს: როცა ბურთს ურტყამს, თითქოს მარტო ქულის მოგება კი არა, ერთბაშად მატჩის მოგება უნდაო. მე ძალიან მიყვარს მისი თამაშის ცქერა. რატომ? იმიტომ, რომ ჩოგბურთის თამაში სწორედ ასე უნდა. იგი სავსებით დარწმუნებულია საკუთარ ძალებში, მისთვის არავინ და არაფერი არსებობს, გვაგრძნობინებს, რომ დათრგუნავს ყველაფერს, რაც კი წინ გადაეღობება.

პანჩო სეგურა: ჯიმბო ერთადერთია, ვინც დამაჯერებლად სძლია ბორგს.

როგორც ყველა გამოჩენილ ჩოგბურთელს, კონორსსაც ჰქონდა კრიზისისა და მარცხის პერიოდები. პირველი — მეტად ახალგაზრდულ ასაკში 1975 წელს, დიახ, იმ სეზონის შემდეგ, როცა ყველაფერი დათრგუნა, ყველას სძლია, იგი სამჯერ გავიდა „დიდი სლემის“ ჩათვლის შეჯიბრების ფინალში და... სა-



მივეჯრვე დამარცხდა! ის, რაც სხვებისთვის დიდ წარმატებად ჩაითვლებოდა, კონორსმა თავისთვის დიდ მარცხად მიიჩნია.

— მეორე ნომრად ყოფნა იგივეა, რაც მეორასედ. ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ.

მაინც რითი იყო გამოწვეული კონორსის ეს შედარებითი უკუსვლა?

— მე ისეთნაირად დავიწყე ცხოვრება, როგორსაც წლების მანძილზე საკუთარ თავს ნებას არ ვაძლევდი. შემდეგ კი საკუთარ თავს შევატყვე, რომ ორ-სამკვირიანი ქეიფი კორტზე აშკარად მემჩნეოდა. გნებავთ მოძრაობაში, გნებავთ გადამწყვეტ მომენტში თავდაჭერაში.

სრულიად ახალგაზრდა კონორსს იმდენი გონიერება და თავდაჭერის უნარი აღმოაჩნდა, რომ მსგავსი შეცდომები აღარ გაიმეორა და 1976 წლის სეზონს ყოველნაირად მომზადებული შეხვდა: 10 საათზე იძინებდა, 8 საათზე დგებოდა, აღიდგინა ადრინდელი მზადყოფნა და კვლავ დაიბრუნა პირველი პოზიცია მსოფლიოს რანგ-ლისტში.

კონორსი ის ჩოგბურთელი იყო, რომელიც არავის ტოვებდა გულცივს. იგი ძალიან უყვარდათ, ზოგს სძულდა კიდეც, მაგრამ მის მატჩებს უამრავი გულშემატკივარი ეტანებოდა. ქომაგებმა კონორსს „მაესტრო“ შეარქვეს. იგი არასოდეს თამაშობდა უფერულად, ბრძოლაში მთელ თავის სულსა და გულს აქსოვდა, ღირსეულად იგებდა და ღირსეულადვე აგებდა. ჟურნალი „ტენისი“ (აშშ)) წერდა:

„როცა კონორსი ასპარეზობს, თითქოს მთელი მსოფლიო მონაწილეობს მის მატჩში. შეხვედრის შემდეგ გულშემატკივრები ისეთი გრძნობით ტოვებენ ტრიბუნებს, თითქოს მისი სულის ნაწილი მიაქვთ... თვით კონორსიც გულშემატკივრობასა და თანაგრძნობას საჭიროებს. აი რატომაა, რომ მას ასე უყვარს შეჯიბრებები, რომლებიც [illegible]ში იმართება. აქ მეტია ინტიმურობა, მეტია ურთიერთობის გრძნობა“.

თქმა არ უნდა, ჯიმი კონორსი დიდი სპორტსმენი და დიდი პროფესიონალი იყო. ყველაფერი ჰქონდა: ინდივიდუალობა, ნიჭი, საქმისადმი ფანატიკური ერთგულება, ტემპერამენტი და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო თავდაჭერის უნარი.

გავიდა დრო...

— სასაცილოც კია ამის თქმა, მაგრამ მე ვბერდები. გამოჩნდა თავხედი ყმაწვილების მთელი ჯგუფი, რომელთაც ერთი სურვილი ამოძრავებს — როგორმე წამომაჩოქონ. ერთი სიტყვით, ეს 17-18 წლის ჭაბუკები ისე იქცევიან, როგორც ადრე მე თვითონ ვიქცეოდი. ჩემი დამარცხებით ისინი ცდილობენ თავისთვის კარგი რეკლამის შექმნას, მაგრამ მე არავისთვის რეკლამის გაკეთებას არ ვაპირებ.

ამის თქმა ადვილი იყო, გაკეთება კი მეტად ძნელი. ჯიმი კონორსს ახლა უკვე ბევრი ახალგაზრდა უტევდა.

თავ[illegible]ოლო ტურნირი „დიდი სლემის“ ჩათვლით, აშშ-ს ღია ჩემპიონატი, კონორსმა 1983 წელს მოიგო. ამის შემდეგ მარცხი და წარმატება ერთმანეთს ცვლიდა, 1989 წლის მაისის უკანასკნელ დღეს ჯიმი კვლავ იმ დათარსულ „როლან-გაროსის“ კორტებზე გამოვიდა. მეტოქე თითქოს არც ისე ძლიერი იყო — კონორსის თანამემამულე ჯეი ბერგერი და მაინც ეს მატჩი ბერგერმა მოიგო. იგი 22 წლისა იყო, ვეტერანი ჯიმი კონორსი კი უკვე ოცდათქვსმეტისა...

გივი თორელი

## გარი კასპაროვი: რა მოხდება მერე?

**მსოფლიო ჩემპიონობის შენარჩუნების შემდეგ გარი კასპაროვი არაერთხელ შეხვდა ჟურნალისტებს. მას ხშირად ერთიდაიმავე, მაგრამ საყურადღებო კითხვებს უსვამდნენ. აი ზოგიერთი მათგანი:**

● **ჩვენ შევიტყვეთ, რომ მთელი საჭადრაკო დასავლეთი ანანდს ქომაგობდა და არა მარტო დასავლეთი...**

— ჩემს მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო: უბრალო ადამიანების დიდი ნაწილი მხარს მიჭერდა, მაგრამ მოჭადრაკეთა უმეტესობას ჩემი დამარცხება უნდოდა. მათ მშვენივრად ესმოდათ, რა ნეგატიური შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ამბავს, მაგრამ მაინც ჩემი წინააღმდეგი იყვნენ.

● **თქვენ თითქოს განაცხადეთ, რომ დამარცხების შემთხვევაში თავს დაანებებდით ჭადრაკს და სხვა საქმეს მოკიდებდით ხელს.**

— არაფერი ამის მსგავსი არც განმიცხადებია და არც აზრად მომსვლია.

● **პირადად თქვენ გქომაგობენ თუ ანანდს, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ არ განსაზღვრავს დღევანდელ სამყაროში ჭადრაკის განვითარების ტენდენციას?**

— დიახ, მაგრამ ჩვენი მატჩი მაინც ჭადრაკის ისტორიაში შემობრუნების მომენტად მიმაჩნია. კარპოვს, რომელიც მატჩის პირობებს მოაწერს ხელს, ყოველივე ამის გათვალისწინება მოუხდება.

● **რომელი მატჩისა? თქვენ „გამაერთიანებელ მატჩს“ გულისხმობთ?**

— დიახ, მისი პირობები ძალაში რომ შევიდეს, კარპოვსა და კამსკის მოუხდებათ მასზე ხელის მოწერა.

● **რა ასეთი პირობებია განსაკუთრებული?**

— პირობები სრულიად უბრალოა, მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ჩემპიონს (კარპოვი იქნება ეს თუ კამსკი) შეხვდება. თუ მატჩის ანგარიში იქნება 10:10, მსოფლიო ჩემპიონი ინარჩუნებს თავის წოდებას. პირობები მარტივი და გასაგებია, არსებობს ჩემპიონი, არსებობს პრეტენდენტი, ამ შემთხვევაში პრეტენდენტი ფიდეს ჩემპიონია.

● **დიახ, მაგრამ თუ ასეთ ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერეს?**

— თუ ასეთი პირობები არ აკმაყოფილებთ, ეს უკვე მათი პრობლემაა, მაშინ ჩემი მოლაპარაკება ფიდესთან აზრს კარგავს.

● **როგორი იქნება მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატის გათამაშების სტრუქტურა?**

— ჯერ გაზაფხულზე გაიმართება ერთი დიდი საზონათშორისო ტურნირი ერევანში. აქ გამოვლინდებიან მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები, რომელთაც დაემატებათ მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩში დამარცხებული. შემდეგ მოეწყობა მატჩები პრეტენდენტებს შორის, ყველაფერს კი მსოფლიო პირველობაზე დიდი ორთაბრძოლა დააგვირგვინებს.

● **ყოველივე ამისთვის ორი წელი გეყოფათ?**

— დიახ, ორი წელი.

● **რამდენი პარტიისგან შედგება მატჩი მსოფლიო პირველობაზე?**

— ოცისგან. იყო აზრი მატჩი 16 პარტიამდე შეგვემცირებინა, მაგრამ, ვფიქრობ, ეს მკვეთრად შეცვლიდა ბრძოლის ხასიათს. ამიტომაც ისევ 20 პარტიის დატოვება ჯობს.

● **რჩება თუ არა მსოფლიო ჩემპიონს პრივილეგია?**

— ერთი პრივილეგია რჩება. თუ მატჩის ანგარიში იქნება 10:10, მაშინ იგი ინარჩუნებს ჩემპიონობას. მე არ მესმის რატომ უნდა დავთმო ეს პრივილეგია. ვერც ერთი პრეტენდენტი ოდნავადაც ვერ მომიახლოვდა: შორტმა წააგო 5 ქულის, ანანდმა კი სამი ქულის განსხვავებით.

● **თუკი მომავალ პრეტენდენტებზე ვილაპარაკებთ, ერთი მათგანი თქვენს ბრიგადაში იყო — ვლადიმერ კრამნიკი. სწორედ მასთან თუ მოგიწიათ შეხვედრა?**

— ჩვენ ერთმანეთთან ძალიან კარგი დამოკიდებულება გვაქვს. თუკი მასთან მომიწევს თამაში, რა მოხდა მერე, ვითამაშებთ. ვლადიმერმა ბევრი რამ გაიგო ჩემს შესახებ, მე კი მის შესახებ. ერთმანეთს თუ დავუპირისპირდით, მოვემზადებით, რამეს მოვიგონებთ.

● **თუ მსოფლიო ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტებზე ვილაპარაკებთ, ასეთი, ალბათ, ოთხია: ივანჩუკი, კრამნიკი, ანანდი და კამსკი. ასე არ არის?**

— დიახ, მეც ასე ვფიქრობ. რომ შეიძლებოდეს მათი გაერთიანება, ერთი ძალიან ძლიერი პრეტენდენტი გამოვიდოდა, მაგრამ თითოეულს თავისი სისუსტეებიც გააჩნია. მე მაინც ვფიქრობ, რომ თუ ზედმეტმა დაძაბულობამ არ გამტეხა, თუ ჩვეულებრივი ძალით ვითამაშე, ჩემი შესაძლებლობები მათთან შედარებით მაინც უკეთესი იქნება.

● **ჭადრაკის გარდა თქვენ ბევრი საქმე გაქვთ — ძალებს ფანტავთ. ითვალი სწინებთ ამ გაკვეთილს?**

— აუცილებლად ვითვალისწინებ! ახლა ძალებს ნაკლებად ვფანტავ, ფიდესთან შეხლა-შემოხლა ისეთი მძაფრი აღარ არის, უწინ რომ იყო. როგორც იქნა დამთავრდა ცოლის გაყრასთან დაკავშირებული ეპოპეა — ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრი პრობლემა, რომელიც ბოლო წლებში დამიგროვდა, ბოლოს და ბოლოს, გადავჭერი.

● **ახლა როგორღა წარიმართება თქვენი შემდგომი პროფესიული პირადი ცხოვრება? უკეთესი გახდება, თუ ყველაფერი ძველებურად იქნება?**

— ომი დამთავრდა, ახლა, უბრალოდ, ჭადრაკს ვითამაშებ და სიამოვნებას მივიღებ.

● **რამდენ ხანს გაგრძელდება ეს სიამოვნება? 2000 წლამდე შეინარჩუნებთ წოდებას?**

— ყოველ შემთხვევაში ახლა გამიჩნდა ასეთი სურვილი.

● **ადრე თქვენ პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში ებმებოდით, რა ხდება ამ სახიფათო ფრონტზე?**

— მე უკვე მტკიცედ გადავწყვიტე აღარ ჩავება რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. არ მინდა ერთი მრავალთაგანი ვიყო, მსურს ბევრი რამ გავაკეთო ჭადრაკში.

## სხვადასხვა ამბები

### გამოუსწორებელი რონ ტარპლი

ნბა-ში უამრავი პრიზია დაწესებული, მაგრამ ასეთი წინადადებით ჯერ არავინ შემოსულა: ყოველი სეზონის ბოლოს შეჯამდეს კალათბურთელთა უწესრიგობანი, რათა გამოვლინდეს ერთი ყველაზე უდისციპლინო მოთამაშე. რამდენად სერიოზულია ასეთი პრიზის დაწესება, ძნელი სათქმელია. მით უფრო, რომ იგი წესრიგის დამრღვევთა გარკვეულ წახალისებას ემსგავსება. მაგრამ ლიგაში რომ არსებობენ შტატიანი უდისციპლინოები, ეს ფაქტია და მათ ნბა-ს ადმინისტრაცია სასტიკად ებრძვის.

ერთ-ერთი ასეთი გამოუსწორებელი წესრიგის დამრღვევი გახლავთ „დალასის“ ლიდერი რონ ტარპლი, რომელიც არაერთხელაა შემჩნეული სხვადასხვა რანგის უმსგავსოებაში. 1991 წელს იგი დისკვალიფიცირებული იყო, როგორც გამოუსწორებელი ნარკომანი. სასჯელი მან ევროპის პროფესიულ კლუბებში თამაშით მოიხადა. მერე, როგორც ამბობდნენ, გამოსწორდა და კვლავ ნბა-ში დაბრუნდა.

ამ ცოტა ხნის წინ რონ ტარპლიმ ხელი მოაწერა 6 წლიან კონტრაქტს „დალასთან“, რაშიც 24 მილიონი დოლარი მიიღო. ბოლო დროს ტარპლის სახელი კვლავ ამოტივტივდა: ლიგის ადმინისტრაციას მას ქცევის ნორმების სისტემატურ დარღვევაში ადანაშაულებს. ეს კი იმას ნიშნავს, თუკი ერთხელ კიდევ დაიმსახურებს დისკვალიფიკაციას, ნბა-ში თამაში სამუდამოდ აეკრძალება და კონტრაქტიც გაუქმდება.

### საუკეთესო მოცურავეები

ჟურნალი „სვიმინგ უორლდი“ ყოველწლიურად ავლენს მსოფლიოს საუკეთესო მოცურავეებს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. რეფერენდუმში, როგორც წესი, მხოლოდ სპეციალისტები მონაწილეობენ. ამდენად ჟურნალისტები ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნიან კონკურსის შედეგებზე. წლევანდელ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 100-მდე სპეციალისტმა. ვაჟთა შორის უპირატესობა მიენიჭა რუს დენის პანკრატოვს. ქალებში — უნგრელ კრისტინა ეგერსეგის. ამ ინფორმაციას ჟურნალში დართული აქვს განმარტება, სადაც აღნიშნულია, რომ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები არ იზიარებენ სპეციალისტთა აზრს და წლის ბოლომდე საკუთარი რეფერენდუმის შედეგებს გამოაქვეყნებენ.

### ვითომ ფული აკლდა?

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიოს პირველმა ჩოგბურთელმა ამერიკელმა პიტ სამპრასმა „დიდი სლემის თასის“ გათამაშების მეოთხედფინალში უარი თქვა ხორვატ გორან ივანიშევიჩთან თამაშზე. მიზეზი იყო მოსკოვში დევისის თასის ფინალური ასპარეზობის დროს მიღებული მუხლის ტრავმა, რომელმაც მწვავედ იჩინა თავი მიუნხენში.

სამპრასი ამ ტრავმის ამბავს ასე ჰყვება: „ფეხმა ტკივილი დამიწყო ანდრეი ჩესნოკოვთან თამაშის შემდეგ. მეორე დღეს მაინც გამოვედი კორტზე და ტოდ მარტინთან წყვილში კიდევ ერთი ქულა მოვუტანე ჩვენს ნაკრებს. კვირას კი ევგენი კაფელნიკოვის დამარცხებით წერტილი დავუსვი ამ ძნელ ბრძოლას, მაგრამ მაშინ არაფერს ვგრძნობდი ისე ვიყავი გახარებული. აშშ-ს ნაკრებმა იმ დღეს ოცდამეთერთმეტედ მოიპოვა დევისის თასი — ყველაზე პრესტიჟული გუნდური ჯილდო ჩოგბურთში“.

მიუნხენში “დიდი სლემის თასის“ დაწყებამდეც და მერეც ტკიოდა ფეხი, მაგრამ თავს ძალას ატანდა. მეოთხედფინალის წინ კი მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ექიმებმა სამპრასს აუკრძალეს კორტზე გამოსვლა. სეზონის დასკვნით ტურნირში, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ერთადერთი შეხვედრა ჩაატარა და მიიღო 762,5 ათასი დოლარი — 262,5 ათასი მეოთხედფინალში გასვლისთვის და 500 ათასი წლეულს დიდი სლემის ორ ტურნირში (უიმბლდონი და აშშ-ს ღია ჩემპიონატი) გამარჯვებისთვის.

# «ლელო» — ფეხბურთის გულშემატკივრებს!

**12 დეკემბერს პარიზში ლუვრის ერთ-ერთ სასახლეში გაიმართა ფეხბურთელთა მსოფლიოს 1998 წლის შესარჩევი ციკლის კენჭისყრა. მონაწილეობა მიიღო ქვეყნების სარეკორდო რაოდენობამ — 170-მა. 1997 წლის 16 ნოემბრამდე მოეწყობა 639 მატჩი, რომლებიც გამოავლენს ფინალური ტურნირის 30 მონაწილეს. ორი ფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილია, ესენია: ჩემპიონატის მასპინძელი საფრანგეთი და მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია.**

ფინალური ტურნირის საგზურები კონტინენტებს შორის ასე განაწილდა:

| | |
|---|---|
| ევროპა | — 15 |
| აზია | — 3 ან 4 |
| აფრიკა | — 5 |
| სამხრეთ ამერიკა | — 5 |
| კონკაკაფი | — 3 |
| ოკეანია | — 0 ან 1 |

გთავაზობთ კენჭისყრის შედეგებს.

## ევროპა

შერჩევით ტურნირში მონაწილეობს 50 ქვეყანა. ფინალის საგზური — 15.

1 საგზური დაზღვეული აქვს საფრანგეთს, როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორ ქვეყანას. 9 საგზურს გაინაწილებენ 9 შესარჩევ ჯგუფში გამარჯვებული გუნდები. 1 საგზური გაიცემა მეორე ადგილზე გასული გუნდის სახელზე, რომელსაც სხვა მეორე პრიზიორთა შორის უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდება. დანარჩენი რვა მეორე პრიზიორი, კენჭისყრით დაწყვილდება და ორი მატჩის ჯამით (შინ და სტუმრად) გაითამაშებს ფინალის კიდევ ოთხ საგზურს. როგორც ხედავთ ევროპის ჯგუფში ფინალისტთა ფორმულა ასეთია: 1+9+1+4=15.

I ჯგუფი. დანია, საბერძნეთი, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია და ჰერცოგოვინა.

II ჯგუფი. იტალია, ინგლისი, პოლონეთი, საქართველო, მოლდოვა.

III ჯგუფი. ნორვეგია, შვეიცარია, ფინეთი, უნგრეთი, აზერბაიჯანი.

IV ჯგუფი. შვეცია, შოტლანდია, ავსტრია, ბელორუსია, ლატვია, ესტონეთი.

V ჯგუფი. რუსეთი, ბულგარეთი, ისრაელი, კვიპროსი, ლუქსემბურგი.

VI ჯგუფი. ესპანეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, იუგოსლავია, მალტა, ფარერის კუნძულები.

VII ჯგუფი. ჰოლანდია, ბელგია, თურქეთი, უელსი, სან-მარინო.

VIII ჯგუფი. რუმინეთი, ირლანდია, ლიტვა, ისლანდია, მაკედონია, ლიხტენშტეინი.

IX ჯგუფი. გერმანია, პორტუგალია, ჩრდ. ირლანდია, უკრაინა, ალბანეთი, სომხეთი.

## აზია

შერჩევით ტურნირში მონაწილეობს 36 ქვეყანა. ფინალის საგზური — 3 ან 4.

I რაუნდი. ტურნირი 10 ჯგუფში.

I ჯგუფი. საუდის არაბეთი, მალაიზია, ბანგლადეში, ტაივანი.

II ჯგუფი. ირანი, სირია, მალდივების კუნძულები, ყირგიზეთი.

III ჯგუფი. არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბახრეინი, იორდანია.

IV ჯგუფი. იაპონია, ნეპალი, ომანი, მაკაო.

V ჯგუფი. უზბეკეთი, იემენი, ინდონეზია, კამბოჯა.

VI ჯგუფი. კორეა, ტაილანდი, ჰონკონგი.

VII ჯგუფი. ქუვეითი, ლიბანი, სინგაპური.

VIII ჯგუფი. ჩინეთი, თურქმენეთი, ვიეტნამი, ტაჯიკეთი.

IX ჯგუფი. ერაყი, ყაზახეთი, პაკისტანი.

X ჯგუფი. ინდოეთი, კატარი, შრი-ლანკა, ფილიპინები.

II რაუნდი. პირველ რაუნდში გამარჯვებული 10 გუნდი შექმნის ორ თანაბარ ჯგუფს და მოაწყობს ერთწრიან ტურნირს.

III რაუნდი. ორ-ორი საუკეთესო გუნდი ყოველი ჯგუფიდან შექმნის ნახევარფინალურ წყვილს.

ნახევარფინალებში გამარჯვებულნი მიიღებენ ფინალის ორ საგზურს. ნახევარფინალებში დამარცხებულნი შეხვდებიან ერთმანეთს დამატებით მატჩში. აქ გამარჯვებული მიიღებს ერთ საგზურს.

დამატებით მატჩში დამარცხებული შეხვდება ოკეანიის ზონაში გამარჯვებულს. აქაც გათამაშდება 1 საგზური. აზიის ჯგუფში ფინალისტთა ფორმულა ასეთია: 2+1+1=4

## სამხრეთ ამერიკა

შესარჩევ ციკლში მონაწილეობს 10 ქვეყანა.

ფინალის საგზური — 5

1 საგზური დაზღვეული აქვს ბრაზილიას, როგორც მსოფლიო ჩემპიონს. დანარჩენ 4 საგზურს გაითამაშებენ ორწრიანი ტურნირის მონაწილენი 24.04.96 — 16.11.97 პერიოდში. სამხრეთ ამერიკის ჯგუფში ფინალისტთა ფორმულა ასეთია: 1+4=5

**შესარჩევი ტურნირის მონაწილენი:** არგენტინა, ბოლივია, ვენესუელა, კოლუმბია, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი, ჩილი, ეკვადორი.

## აფრიკა

შესარჩევ ტურნირში მონაწილეობს 36 ქვეყანა. ფინალის საგზური — 5

I რაუნდი. 16 წყვილი თამაშობს შინ და გასვლაზე.

სუდანი — ზამბია, ნამიბია — მოზამბიკი, ტანზანია — განა, სვაზილენდი — გაბონი, უგანდა — ანგოლა, მავრიკია — ზაირი, მალავი — სამხრეთ აფრიკა, მადაგასკარი — ზიმბაბვე, გვინეა-ბისაუ — გვინეა, რუანდა — ტუნისი, კონგო — კოტ-დ'ივუარი, კენია — ალჟირი, ბურუნდი — სიერა ლეონე, მავრიტანია — ბურკინა ფასო, ტოგო — სენეგალი, გამბია — ლიბერია.

II რაუნდი. პირველ რაუნდში გამარჯვებული 16 გუნდი პლიუს კამერუნი, ნიგერია, მაროკო, ეგვიპტე. 20 გუნდი შექმნის 5 ჯგუფს. მოეწყობა ორწრიანი ტურნირი. ამ ჯგუფებში გამარჯვებული 5 გუნდი მიიღებს ფინალის 5 საგზურს.

## კონკაკაფი

(ჩრდილო და ცენტრალური ამერიკა, კარიბის ზღვის აუზი)

შესარჩევ ტურნირში მონაწილეობს 30 ქვეყანა. ფინალის საგზური — 3.

## კარიბეთის ზონა

I რაუნდი (შეხვედრები შინ და სტუმრად). 1. არუბა — დომინიკელთა რესპუბლიკა, 2. ბაჰამი — სენტ კისტი და ნევისი, 3. გაიანა — გრენადა, 4. დომინიკა — ანტიგუა.

ოთხი გამარჯვებული მოიპოვებს მეორე რანუდში თამაშის უფლებას.

II რაუნდი. ბერმუდი — ტრინიდადი და ტობაგო, პუერტო-რიკო — სენტ-ვინსენტი, კაიმანის კუნძულები — კუბა, გამარჯვებული 2 — სენტ-ლუსია,

გამარჯვებული 3 — ჰაიტი, სურინამი — იამაიკა,

გამარჯვებული 4 — ბარბადოსი, გამარჯვებული 1 — ჰოლანდიის ანტილის კუნძულები.

რვა გამარჯვებული გუნდი გადის მესამე რაუნდში.

III რაუნდი (თამაშები შინ და სტუმრად). მოეწყობა წყვილთა დამატებითი კენჭისყრა.

მატჩი A, მატჩი B, მატჩი C, მატჩი D.

ოთხი გამარჯვებული გადის ნახევარფინალურ რაუნდში

## ცენტრალური ამერიკის ზონა

I რაუნდი (თამაშები შინ და სტუმრად). მატჩი E: ნიკარაგუა — გვატემალა, მატჩი F: ბელიზი — პანამა.

გამარჯვებულნი გადიან ნახევარფინალურ რაუნდში

ნახევარფინალური რაუნდი (ორ წრედ).

I ჯგუფი. აშშ, კოსტა-რიკა, გამარჯვებული D, გამარჯვეუბლი E.

II ჯგუფი. კანადა, სალვადორი, გამარჯვებული F, გამარჯვებული A.

III ჯგუფი. მექსიკა, ჰონდურასი, გამარჯვებული B, გამარჯვებული C.

ორ-ორი უძლიერესი გუნდი შექმნის ფინალურ ჯგუფს.

ფინალი. 6 გუნდი ჩაატარებს ორწრიან ტურნირს. 3 საუკეთესო გუნდი მიიღებს ფინალის საგზურს.

## ოკეანია

შერჩევით ტურნირში მონაწილეობს 10 ქვეყანა. ფინალის საგზური 0 ან 1.

I რაუნდი (ერთ წრედ). ჯგუფი M (მელანეზია).

პაპუა, ახალი გვინეა, სოლომონის კუნძულები, ვანუატუ. ჯგუფი P (პოლინეზია). კუკის კუნძულები, ტონგა, დასავლეთ სამოა.

II რაუნდი (ორ წრედ) A ჯგუფი. ავსტრალია, ტაიტი, გამარჯვებული 1P — 2M მატჩის. B ჯგუფი. ფიჯი, ახალი ზელანდია, მელანეზიის (1M) ჯგუფში გამარჯვებული.

III რაუნდი (შინ და სტუმრად). A ჯგუფში გამარჯვებული — M ჯგუფში გამარჯვებული.

IV რაუნდი. მესამე რაუნდში გამარჯვებული შეხვდება აზიის ზონის მეოთხე გუნდს — ფინალის 1 საგზური.

## 15 მსოფლიო ჩემპიონატი

### ყველა ჩემპიონი და ყველა პრიზიორი

**I ჩემპიონატი. 1930 წელი. (ურუგვაი).**
1. ურუგვაი, 2. არგენტინა, 3. აშშ.

**II ჩემპიონატი. 1934 წელი. (იტალია)**
1. იტალია, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. გერმანია.

**III ჩემპიონატი. 1938 წელი (საფრანგეთი)**
1. იტალია, 2. უნგრეთი, 3. ბრაზილია.

**IV ჩემპიონატი, 1950 წელი (ბრაზილია)**
1. ურუგვაი, 2. ბრაზილია, 3. შვეცია.

**V ჩემპიონატი, 1954 წელი (შვეიცარია)**
1. გფრ, 2. უნგრეთი, 3. ავსტრია.

**VI ჩემპიონატი, 1958 წელი (შვეცია)**
1. ბრაზილია, 2. შვეცია, 3. საფრანგეთი

**VII ჩემპიონატი, 1962 წელი (ჩილე)**
1. ბრაზილია, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. ჩილე.

**VIII ჩემპიონატი, 1966 წელი (ინგლისი)**
1. ინგლისი, 2. გფრ, 3. პორტუგალია.

**IX ჩემპიონატი, 1970 წელი (მექსიკა)**
1. ბრაზილია, 2. იტალია, 3. გფრ.

**X ჩემპიონატი, 1974 წელი (გფრ)**
1. გფრ, 2. ჰოლანდია, 3. პოლონეთი.

**XI ჩემპიონატი, 1978 წელი (არგენტინა)**
1. არგენტინა, 2. ჰოლანდია, 3. ბრაზილია.

**XII ჩემპიონატი, 1982 წელი (ესპანეთი)**
1. იტალია, 2. გფრ, 3. პოლონეთი.

**XIII ჩემპიონატი, 1986 წელი (მექსიკა)**
1. არგენტინა, 2. გფრ. 3. საფრანგეთი.

**XIV ჩემპიონატი, 1990 წელი (იტალია)**
1. გფრ, 2. არგენტინა, 3. იტალია

**XV ჩემპიონატი, 1994 წელი (აშშ)**
1. ბრაზილია, 2. იტალია, 3. შვეცია.

## შთაბეჭდილებები ცხელ გულზე

ევროპის სატელეგრაფო სააგენტოებმა კენჭისყრის შემდეგ, ცხელ გულზე ინტერვიუ ჩამოართვეს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებს. ჩვენს გულშემატკივრებს, ბუნებრივია, აინტერესებთ რას ფიქრობენ ისინი მეორე ჯგუფის გუნდებზე.

**ტერი ვენეიბლსი** (ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ძლიერი ჯგუფია. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია მას თავში ჩავუდგეთ. კარგია, რომ ჯგუფში ოთხი მეტოქე გვყავს და არა ხუთი“.

**არიგო საკი** (იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):

„განსაკუთრებით ძლიერი ჯგუფია. მოგვიწევს მაქსიმალური დატვირთვით თამაში. სხვაგვარად ფინალში ვერ მოხვდები. ინგლისელებს ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ მე მჯერა, რომ იტალიელები უფრო ძლიერები არიან“.

**ვლადისლავ სტახურსკი** (პოლონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „საშინლად მძიმე ჯგუფია. ასეთ გრანდებთან მოხვედრა და პირველ ადგილზე ფიქრი შეეძლო მხოლოდ ისეთ გუნდს, როგორიც პოლონეთს ჰყავდა 1974 წელს“.

**ალექსანდრე ჩივაძე** (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „გულახდილად ვთქვათ, იმ ჯგუფში, სადაც ინგლისი, იტალია და პოლონეთი გამოდიან, ჩვენ შანსი არა გვაქვს. ასე რომ, ამოცანა — საერთაშორისო გამოცდილების მიღებაა. ეს ხომ საქართველოს გუნდის პირველი მონაწილეობა იქნება მსოფლიო ჩემპიონატში? ჩვენი ფედერაცია ჯერ ძალზე ახალგაზრდაა, მაგრამ გვაქვს სწრაფი პროგრესის იმედი“.

## თანამეგობრობის თასზე

1996 წლის 26 იანვრიდან 3 თებერვლამდე მოსკოვში გაიმართება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თასის საფეხბურთო ტურნირი დახურულ დარბაზებში. 26, 27 და 29 იანვარს შედგება თამაშები ჯგუფებში, 30- იანვარს — მეოთხედფინალები, 1 თებერვალს — ნახევარფინალები, 3 თებერვალს — ფინალი.

ტურნირის მონაწილენი დაიყვნენ ჯგუფებად:

„ა“ ჯგუფი — „სკონტო“ (რიგა, ლატვია), „ზიმბრუ“ (კიშინიოვი, მოლდოვა), „ნეფთჩი“ (ფერგანა, უზბეკეთი), რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები (კონკურსგარეშე).

„ბ“ ჯგუფი — „სპარტაკი-ალანია“ (ვლადიკავკაზი, რუსეთი), „პიუნიკი“ (ერევანი, სომხეთი), „ელემაი“ (სემიპალატინსკი, ყაზახეთი), ყირგიზეთის ჩემპიონი (ჯერ გამოვლენილი არაა).

„გ“ ჯგუფი — „დინამო“ (კიევი, უკრაინა), „კოპეტ-დაგი“ (აშხაბადი, თურქმენეთი), „დინამო“ (მინსკი, ბელორუსია), „ფლორა“ (ტალინი, ესტონეთი).

„დ“ ჯგუფი — „დინამო“ (თბილისი, საქართველო), „ჟალგირისი“ (ვილნიუსი, ლიტვა), „ქიაფაზი“ (განჯა, აზერბაიჯანი), „პამირი“ (დუშანბე, ტაჯიკეთი).

## ევროპის საკლუბო ტურნირები

### მეოთხედფინალები — მარტში!

1995-96 წლების ევროპის სამივე საფეხბურთო საკლუბო გათამაშებამ (ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი, უეფას თასი) მეოთხედფინალს მიაღწია და, როგორც ეს წესადაა, მათი დამთავრება შემდგომ წელს მოხდება. მერე კი დაიწყება ახალი, 1996-97 წლების შეჯიბრება.

საინტერესოა, რომ მოსკოვის „სპარტაკი“, რომელმაც წლეულს დაკარგა რუსეთის ჩემპიონის წოდება, ერთადერთია ჩემპიონთა თასზე (ჩემპიონთა ლიგა), რომელმაც ჯგუფურ გათამაშებაში ყველა ექვსივე შეხვედრა მოიგო. ამიტომაც მისმა საპრემიო შემოსავალმა 10 მილიონ 200 ათას შვეიცარიული ფრანკი (8,76 მილიონი დოლარი) შეადგინა. ეს ჯამი შემდეგი მაჩვენებლებისგან შედგება: 2 მილიონი მონაწილეობისთვის, 5,4 მილიონი — ექვსი გამარჯვებისთვის და 2,8 მილიონი მეოთხედფინალში გასვლისთვის. ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა ჰოლანდიის „აიაქსი“, მესამეზე — იტალიის „იუვენტუსი“.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური თამაშები გაისად გაიმართება 6-20 მარტს, თასების მფლობელთა თასისა — 7-21 მარტს, ხოლო უეფას თასისა — 5-19 მარტს.

ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი, ფინალური მატჩი 22 მაისს შედგება რომის ოლიმპიურ სტადიონზე, თასების მფლობელთა თასისა — 8 მაისს გლაზგოში, უეფას თასის ფინალისტები კი, ასევე მაისში, ერთმანეთს შეხვდებიან საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **სამხრეთ** ამერიკის სუპერთასის პირველი მატჩები ბუენოს-აირესის „ინდეპენდიენტესა“ და ბრაზილიის „ფლამენგოს“ შორის დამთავრდა არგენტინელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2-0. განმეორებითა შეხვედრა შედგა რიო-დე-ჟანეიროში, ბრაზილიელებმა იგი მოიგეს — 1-0, მაგრამ ორი თამაშის შედეგად საპატიო თასი არგენტინელებს ხვდათ წილად.

● **მიმდინარეობს** ცენტრალური ამერიკის თასის გათამაშება: „ა“ ჯგუფი — სალვადორი — ბელიზი 3-0, კოსტა-რიკა — ბელიზი 2-1; „ბ“ ჯგუფი — ჰონდურასი — პანამა 2-0, გვატემალა — პანამა 1-0.

**აფრიკის** ჩემპიონთა თასის პირველი ფინალური მატჩი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის „ოლანდო პირეტსსა“ და კოტ დივუარის „ასეხ ამიდანს“ შორის დამთავრდა ფრედ 2-2.

● **აფრიკის** საფეხბურთო კონფედერაციის თასზე გამარჯვება მოიპოვა ტუნისის „ეტუალ დიუ სახელმა“, რომელმაც პირველი შეხვედრა გვინეის „კატუმთან“ ფრედ დაამთავრა (0-0), მეორე კი მოიგო — 2-0.

● **ფრანგულმა** ჟურნალმა „ონზ მუნდიალმა“ მკითხველთა კონკურსის მეშვეობით შეადგინა ევროპის სიმბოლური ნაკრები, მის შემადგენლობაში შევიდნენ: ლამა (საფრანგეთი), კარემბე (საფრანგეთი), როში (საფრანგეთი), რაიკაარდი (ჰოლანდია), მალდინი (იტალია), დესაიი (საფრანგეთი), გერენი (საფრანგეთი), რ. ბაჯო (იტალია), დელ პიერო (იტალია), ვეა (იტალია), სავიჩევიჩი (იუგოსლავია).

● **ცნობილმა** ინგლისურმა ჟურნალმა „უორლდ სოკერმა“ ასევე მოაწყო მკითხველთა გამოკითხვა მსოფლიოს 1995 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად. პირველ ადგილზე გავიდა იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ თავდამსხმელი ჯანლუკა ვიალი. მეორე ადგილზეა მისი თანაკლუბელი ალესანდრო დელ პიერო, მესამეზე — გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ კაპიტანი იურგენ კლინსმანი.

● **ევროპის** 1996 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მინიფეხბურთში მომავალი წლის 8-14 იანვარს გაიმართება ესპანეთის ქალაქ კორდობაში. ფინალში 6 გუნდია: „ა“ ჯგუფი — იტალია, რუსეთი, უკრაინა; „ბ“ ჯგუფი — ესპანეთი, ბელგია, ჰოლანდია.

● **ვარშავაში,** ადგილობრივი „ლეგიისა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ, სპარტაკელთა მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა განაცხადა, რომ აღარ აპირებს ამ პოსტზე დარჩენას და იმუშავებს მხოლოდ რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელად ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად.

● **„სამტრედიის“** შემადგენლობიდან ზაზა ჯანაშიას შემდეგ რუსეთის გუნდებში წავიდნენ კიდევ ორნი: მცველი ბესიკ ბერაძე გადავიდა ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში“, ხოლო მცველი ვალტერ გუჩუა — მოსკოვის „ლოკომოტივში“.

● **ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაწესებულ პრიზს „ფეირ-პლეის“ 1995 წელს მიიღებს საფრანგეთის „ვალანსიენის“ ყოფილი მოთამაშე ჟაკ გლასმანი, რომელიც მარსელის „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელობის მიერ მოსყიდული მატჩის საქმეთა გახსნის ინიციატორი იყო.

# ის ცეროდენა იყო, მაგრამ პროფესიული კალათბურთის გიგანტად იქცა!

ამერიკელმა ჟურნალისტმა კენეტ შულერმა მოაწყო საინტერესო გამოკითხვა თემაზე: „ვინ იყო ნბა-ს საუკეთესო მცველი გასული ნახევარი საუკუნის მანძილზე“? ათეულში მოხვდა რამდენიმე წმინდა წყლის ფორვარდი, მეშვიდე ნომრად ამ სიაში დასახელებულია ბობ კოუსი ნბა-ს სამგზის ჩემპიონი და 1956-57 წლის სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე. შულერის კლასიფიკაციაში პირველ და მეორე ადგილებზე არიან მაიკლ ჯორდანი და ოსკარ რობერტსონი.

## ბობ კოუსი



ნბა-ს მეორე ასეთი ვირტუოზი არა ჰყოლია. მან მთელი გადატრიალება მოახდინა პროფესიული კალათბურთის ტექნიკაში და დარჩა დღემდე მიუღწეველ, განუმეორებელ ოსტატად, ბურთის ჯადოქრად. მაგრამ ეს მოხდა გვიან, როცა ბობ კოუსის სახელს მოწიწებით წარმოთქვამდნენ მოხუცები და ახალგაზრდები, ქალები და კაცები. ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ კოუსს არ იღებდა თავის შემადგენლობაში არც ერთი პროფესიონალური კლუბი.

დაიბადა 1928 წლის 9 აგვისტოს ნიუ-იორკში, ფრანგი ემიგრანტის ოჯახში. მორცხვი ბიჭუნა, რომელიც ჯერ კიდევ კარგად არ იყო დაუფლებული ინგლისურ ენას (ოჯახში მხოლოდ ფრანგულად საუბრობდნენ), მიაბარეს ენდრიუ ჯეკსონის საშუალო სკოლაში. იმის გამო, რომ ტანმორჩილი იყო, სასკოლო კალათბურთის გუნდში არ აიყვანეს. ბობმა დამოუკიდებლად დაიწყო ვარჯიში და ერთი წლის შემდეგ გააოცა მწვრთნელიცა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებელიც — გახდა ყველაზე პოპულარული „პიროვნება“ სასკოლო კალათბუოთში, მაგრამ უნივერსიტეტის გუნდები მაინც ალმაცერად უყურებდნენ ამ არასტანდარტულ მოთამაშეს.

ბოლოს „ჰოლი კროსის“ უნივერსიტეტმა გაბედა და წინადადება მისცა კოუსს, რაზეც იგი უყოყმანოდ დათანხმდა. პირველივე გამოსვლამ ცხადყო, რომ უცნობ ახალგაზრდას ფანტასტიკური მონაცემები ჰქონდა და, რაც მთავარია, უნიკალურ ტექნიკას ფლობდა. სულ მალე სტუდენტური კალათბურთის აღიარებული ლიდერი გახდა და „ვარსკვლავთა“ გუნდში შეიყვანეს, როგორც მთავარი გამთამაშებელი და დრიბლინგის უბადლო ოსტატი. პირველი სამი სეზონი ბრწყინვალე სნაიპერული შედეგებით აღნიშნა: თავის გუნდს 1198 ქულა შესძინა.

ასეთი მყარი სავიზიტო ბარათის მიუხედავად, პროფესიულ კალათბურთში იგი გაშლილი ხელებით არ მიუღიათ. პროფესიონალები უპირატესობას მეტწილად ტანმაღალ კალათბურთელებს აკუთვნებდნენ, ბობ კოუსი კი მათ სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. ბოლოს მაინც გამოჩნდა კლუბი, რომელმაც ხელი მოაწერა მასთან კონტრაქტს. ეს იყო „თრი სიტი ქლაბი“, რომელმაც რამდენიმე ხანში მიჰყიდა თავისი შენაძენი „ჩიკაგო სთეგს“. მაგრამ „ჩიკაგოში“ კოუსმა მცირე ხანს დაჰყო. 1950 წელს კლუბი გაკოტრდა და მისი მოთამაშეები სხვადასხვა კლუბებმა დაიტაცეს (კოუსის, მაქს სასლოფსკისა და ენდი ფილიპის გარდა).

ნბა-ს მდივანმა მორის პოდოლოფმა ამ სამეულისთვის პატარა აუქციონი მოაწყო. პირველი არჩევანის უფლება „ნიუ-იორკ ნიკერბოკერსის“ მწვრთნელს ნედ აირიშს მისცეს. მან, ცხადია, ტანმაღალი ზასლობსკი აირჩია, „ფილადელფიის“ მენეჯერმა ედი გოტლიბმა ედი ფილიპი მიიწვია. „ბოსტონ სელტიკსის“ განაწყენებულ მწვრთნელს უოლტერ ბრაუნს კი ბობ კოუსი დარჩა.

მაგრამ... ახლად წვეულმა პირველსავე სეზონში მეოთხე ადგილი დაიკავა ლიგის საუკეთესო გამთამაშებელთა შორის. ბომბარდირთა დავაში კი მეცხრე ადგილზე გავიდა. მომდევნო სეზონში, როგორც გამთამაშებელმა, ორი ადგილით გადაინაცვლა წინ, მერე კი უკანა ხაზის №1 მოთამაშე გახდა. რვა სეზონის მანძილზე აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი მის პასებს, ზურგსუკანა დრიბლინგს კი სპეციალისტები ენციკლოპედიურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ყველაფერ ამას მან არაადამიანური შრომისმოყვარეობით მიაღწია. ბობ კოუსზე ამბობდნენ, რომ ყოველ დღე რაღაც ახალ ტექნიკურ ელემენტს ქმნის კალათბურთშიო.

იგი გახდა პროფესიული კალათბურთის სიმბოლო და სიამაყე. მოთამაშეები, მწვრთნელები, ჟურნალისტები, მაყურებლები თაყვანს სცემდნენ, აღმერთებდნენ მას: იგი თამაშობდა კალათბურთს, რომლის მსგავსი კოუსამდე არავის ენახა. მას შეეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, ნებისმიერი კრიტიკული სიტუაციიდან გუნდის გამოყვანა. ტანმორჩილ კალათბურთელად ითვლებოდა (სიმაღლე 184 სმ), მაგრამ ამის მიუხედავად საუკეთესო სნაიპერულ თვისებებს და ბრძოლის უნარს ამჟღავნებდა, თანაც თავისი კლუბისთვის სეზონში საშუალოდ 20 ქულა მოჰქონდა. იგი იყო ჭეშმარიტი ლიდერი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. მისი ყოფნა მოედანზე ზურგს უმაგრებდა, აღაფრთოვანებდა პარტნიორებს.

ერთხელ, ფინალური ტურნირის ერთ მატჩში, გუნდს 52 ქულა შესძინა. 1960 წელს „ლოს-ანჯელესთან“ შეხვედრის წინ თხოვნით მიმართა რედ აუერბახს — არა ვარ ფორმაში და სათადარიგოთა სკამზე დამსვიო. აუერბახმა თხოვნა არ შეუსრულა. მამაშვილურად დაარიგა, შეუშვა მოედანზე და... როგორც მერე ამბობდნენ, ეს იყო კოუსის საუკეთესო მატჩი. გარდა იმისა, რომ თვითონ 25 ქულა „გააკეთა“, თოთხმეტჯერ „საგოლე პასი“ მისცა პარტნიორებს და, რაც ყველაზე მეტად იყო გასაკვირი, თვრამეტჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან მასზე გაცილებით მაღალ ფორვარდებთან ბრძოლაში.

კოუსი მრავალფეროვანი კალათბურთელი იყო. თანამედროვენი სწორედ ამაში ხედავდნენ მის ძალას. ერთ დღეს შეეძლო მთელი თამაში დრიბლინგზე აეგო, მეორე დღეს კი გააოცებდათ გადაცემების სიმრავლითა და სიმწვავით. მეტოქე ხშირად ვერც ხედავდა საიდან მოდიოდა პასები. განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი ზურგსუკანა დრიბლინგი. „ბურთის ამგვარი ტარება „ჰოლი კროსის“ უნივერსიტეტში ვისწავლე, — იხსენებდა ხოლმე იგი, — ერთხელ „ლოიოლას“ მცველმა ჩემი მისამართით გამოგზავნილი ყველა გადაცემა ჩაჭრა.; ფაქტობრივად არ მომცა დრიბლინგის საშუალება. მაშინ, თამაშის პროცესში ვიფიქრე — რა იქნება რომ მოვატყუო და საერთოდ არ დავანახო ბურთი. რამდენჯერმე გავაკეთე ექსპრომტად ეს ილეთი, გამომივიდა, მერე უფრო გავაღრმავე და დავხვეწე“...

ყოველი სეზონის ბოლოს იგი „ვარსკვლავთა“ გუნდში თამაშობდა. ეს იყო ოსტატობის საყოველთაო აღიარების პირველი და უმთავრესი ნიშანი. 1963 წლის 17 მარტს, 35 წლის ბობ კოუსმა ბოლო მატჩი გამართა „ბოსტონ სელტიკსის“ შემადგენლობაში. ამ დღეს მისი დღე უწოდეს. ათასობით გულშემატკივარი მოვიდა ამ მატჩზე. „ჩვენ გვიყვარხარ ქუზ“! ყვიროდა 25 ათასი მაყურებელი და ცრემლებით აცილებდა მოედნიდან თავის კერპს. მან ეს ბოლო მატჩიც ბრწყინვალედ ითამაშა და დიდად შეუწყო ხელი თავის კლუბს გამხდარიყო ნბა-ს ჩემპიონი.

## ელიონორა დოლიძე

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ძველ პლეადას გამოაკლდა ღვაწლმოსილი პედაგოგი, დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ელიონორა დოლიძე.

1948 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. მუშაობდა ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად. აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში, იყო მხატვრულ ტანვარჯიშში თბილისის ფედერაციის თავმჯდომარე, საქართველოს ფედერაციაში კი უძღვებოდა მსაჯთა კოლეგიას, მწვრთნელთა საბჭოს. მისი ხელმძღვანელობით უცხო ენათა ინსტიტუტში დაოსტატებული გუნდი წარმატებით გამოდიოდა საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. აღზარდა მრავალი სპორტის ოსტატი და თანრიგოსანი, არაერთი ჩემპიონი და პრიზიორი. შესანიშნავი სპეციალისტი, ნიჭიერი აღმზრდელი, საუკეთესო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა როგორც შეგირდებში, ისე კოლეგებში.

ელიონორა დოლიძის ხსოვნა არასოდეს წაიშლება მათ გულებში, ვინც ამ სათნო ქალბატონს ახლოს იცნობდა.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია,
მხატვრული ტანვარჯიშის ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლა.

## თენგიზ ლომიძე



უეცარმა სიკვდილმა კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი იმსხვერპლა — გარდაიცვალა რესპუბლიკის სპორტულ სამყაროში კარგად ცნობილი პიროვნება — სააქციო საზოგადოება „სპორტის სასახლის“ გენერალური დირექტორი თენგიზ გრიგოლის ძე ლომიძე.

დაიბადა 1943 წელს, წყალტუბოს რაიონის სოფელ საყულიაში. უფროსი ძმის, ცნობილი ფალავნის შოთა ლომიძის კვალდაკვალ ყმაწვილობიდან ეზიარა თავისუფალ ჭიდაობას, გახდა სპორტის ოსტატი, დაამთავრა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, შემდეგ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პედაგოგიკაში, ამზადებდა სადოქტორო ნაშრომს.

თ. ლომიძემ როგორც უნარიანმა და ავტორიტეტულმა ხელმძღვანელმა, ბევრი რამ გააკეთა თბილისის სხვადასხვა დაწესებულებაში მუშაობისას, იყო 24-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის სასახლის დირექტორი, 1991 წლიდან სააქციო საზოგადოება „სპორტის სასახლის“ გენერალური დირექტორი. მუდამ გვერდში ედგა სპორტის მუშაკებს. როგორც ჭიდაობის ფედერაციის წევრი, ყოველმხრივ უწყობდა ხელს ახალგაზრდობის დაოსტატებას, მათ მონაწილეობას საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ალალი, ყველას მიმართ გულისხმიერი, საქმეში პრინციპული, ულალატო მეგობარი და შესანიშნავი მეოჯახე — ასე იცნობდა მას ყველა და ასეთად დარჩება მისი ნათელი ხსოვნა ჩვენსა და მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა გულებში.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია

## ზაურ მგელაძე



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოში რაგბის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ზაურ („ბატია“) მგელაძე.

დაიბადა თბილისში, 1938 წელს. რაგბის თამაში დაიწყო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლისას. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ საკავშირო პირველობების გამარჯვებული. 1966-69 წლებში სსრ კავშირის ჩემპიონატებში მოიპოვა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, იყო ამავე გუნდებში ჯერ კაპიტანი, შემდეგ მწვრთნელი. „ბატია“ — ეს მეტსახელი სიყვარულით რომ დაანათლეს თანაგუნდელებმა და გულშემატკივრებმა, გამოირჩეოდა უდიდესი ნებისყოფით, პრინციპულობითა და უზადო პატიოსნებით.

შესანიშნავი პიროვნების, მორაგბეთა მთელი თაობების რაინდულად აღმზრდელის, გამორჩეული სპეციალისტისა და მეგობრის ზაურ მგელაძის ნათელი ხსოვნა ჩვენს გულებში არასოდეს წაიშლება. ქართული რაგბის წინაშე მისი უდიდესი დამსახურებაც დაუვიწყარი იქნება.

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია

## კროსვორდი • კროსვორდი • კროსვორდი

თარაზულად: 1. დისტანცია ანუ... 8. მედროშე, 9. არგენტინელი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი, 11. ჭადრაკის ქალღმერთი, 12. ცნობილი ესტონელი მოჭადრაკე, 13. მოცურავე — ოლიმპიური ჩემპიონი (1964) აშშ-დან, 18. კუბელი მოკრივე, ოლიმპიური ჩემპიონი (1972), 20. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 21. სსრ კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი ველომრბოლი, 22. მსხვილი თოკი ცოცვისათვის, 23. პატარა გემი, 27. თანამედროვე იტალიელი ფეხბურთელი, 28. რუსი მოთხილამურე, ოლიმპიური ჩემპიონი (1964) ესტაფეტაში, 29. პატარა დროშა საჭადრაკო საათში, 32. ხულოს რაიონის საფეხბურთო გუნდი, 33. შეჯიბრება სპორტის ზოგიერთ სახეობაში, 34. საფარიკაო იარაღის შესაფუთი, 36. ცნობილი საკალათბურთო მწვრთნელი (სსრკ), 37. ფეხბურთში უელსის ნაკრების მეკარე, 38. წარსულში გამოჩენილი ქართველი მორაგბე.

შვეულად: 2. ფეხბურთელის სახელი (თამაშობდა თბილისის და კიევის „დინამოში“), 3. წარსულში ცნობილი ავტომრბოლი, 4. ცნობილი ბრაზილიელი მძლეოსანი, 5. წარსულში ცნობილი ლიტველი მოფარიკავე, 6. ქართველი ფეხბურთელი — ლეგიონერი, 7. გამოჩენილი რუსი ფეხბურთელი (60-იანი წლები), 10. ფინელი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი (1920, 1924), 14. პირველი პოლარული ფრენის რეკორდსმენი, 15. ჩეხი ნიჩბოსანი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი (1948), 16. გერმანელი მოცურავე, ოლიმპიური თამაშების (1952) პრიზიორი, მსოფლიო ექსრეკორდსმენი, 17. აფრიკის ქვეყანა, რომლის გუნდი მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატში, 19. პროგრამა ძალოსნობაში, 21. ჩეხი მსროლელი, ოლიმპიური ჩემპიონი (1968), 24. ამერიკელი ჩოგბურთელი, 25. ჩეხი მძლეოსანი, ოლიმპიური თამაშების (1956) პრიზიორი, 26. ცნობილი ქართველი ლიტერატორი და მთამსვლელი, 30. ესპანელი ფეხბურთელი, რომელმაც დ. ყიფიანს მძიმე ტრავმა მიაყენა, 31. გამარჯვება ჭადრაკში, 34. სპორტის სახეობა, 35 ამერიკელი ჩოგბურთელი.



„ლელოს“ 47-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. ნოკაუტი, 7. ჭიდაობა, 8. კლინსმანი, 11. უნარი, 12. ყაიმი, 13. ბიტცა, 16. რაპიდი, 17. კლარკი, 21. ბუქნი, 22. აგასი, 23. ფლორი, 26. ესპანდერი, 27. პლატინი, 28. „ვიკინგი“.

შვეულად: 1. ფორმენი, 2. სტილი, 3. სიონი, 4. „ობილიცი“, 6. ხასაია, 9. ტრამპლინი, 10. „ლივერპული“, 14. ნოდია, 15. შულცი, 18. პუშბოლი, 19. რაუნდი, 20. პროლოგი, 24. ფსონი, 25. გრუია.

სააქციო საზოგადოება „სპორტის სასახლის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, „სპორტის სასახლის“ გენერალური დირექტორი
თენგიზ გრიგოლის ძე ლომიძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტსმენთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის წევრი, სააქციო საზოგადოება „სპორტის სასახლის“ გენერალური დირექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის ოსტატი
თენგიზ ლომიძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის წევრები მურმან ქურიძე, გოგი ავალიშვილი, როლანდ ხომერიკი, როლანდ გელოვანი თანაგრძნობას უცხადებენ ეროვნული კატეგორიის მსაჯს კალათბურთში ბონდო ნიკურაძეს ძმის
ვახტანგ ნიკურაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართველ მორაგბეთა საშუალო თაობის ღირსეული წარმომადგენელი
გივი მიქაბერიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66485 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. წოწორია